პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
ორგანო

კომუნისტი

ცენტ. საქ. მ. გ. წ. არ. და მატრ. სახ. საბ. ბიბლიოთეკა თბილისი

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—43

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 170 ხუთშაბათი 26 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 170

დღიური

— ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. სოც. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. გუსეინოვმა ოსმალეთის და სპარსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლებს, ბუხარის საბჭ. სახალხო რესპუბლიკის გენერალურ კონსულს და გერმანიის და იტალიის კონსულებს გადასცა განცხადება ა. კ. საბ. ფედ. სოც. რესპუბლიკის ს. ს. რ. კ. შეხვლის შესახებ.

— ლოზანაში ოსმალეთისა და მოკავშირეების დელეგატებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას.

— საფრანგეთის გაზეთები მიუღებლათ თვლიან ინგლისის მთავრობის მიერ შედგენილ საპასუხო ნოტის პროექტს გერმანიის მემორანდუმზე.

პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე

ბურჟუაზიულ ქვეყნებში „ხალხის წარმომადგენლები", დეპუტატები ძალიან ჩამოშორებული არიან ხალხს და თუ კი საარჩევნო კამპანიამ მათ სასურველად ჩაიარა, თითქმის არავითარ პასუხისმგებლობას მის წინაშე არ გრძნობენ. ახალი არჩევნები იქ დიდი დაგვიანებით ხდება. ამ ხნის განმავლობაში დეპუტატი ხშირად სრულებით სცილდება იმ წრეს, რომლის წარმომადგენლობა მას დაკისრებული აქვს და ხშირად მისთვის სრულებით უცხო ხდება ამომრჩეველთა საჭიროებანი და მისწრაფებანი. დეპუტატის უკან გაწვევის უფლებით ამომრჩევლები ვერ სარგებლობენ და ამნაირად ერთხელ არჩეული დეპუტატი რამოდენიმე წლის განმავლობაში უზრუნველყოფილია სახალხო წარმომადგენლის საპატიო სახელით.

სულ სხვაა საბჭოთა ხელისუფლების დროს. მშრომელი ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები მჭიდროთ დაკავშირებული არიან მასებთან, თავის ამომრჩევლებთან და ყოველ დროს მზად არიან მის წინაშე პასუხისმგებლობაზე. არჩევნების ვადა ძალიან მცირეა და თუ დეპუტატმა ვერ დააკმაყოფილა და ვერ შესძლო ამომრჩეველთა მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება, მის ნაცვლად ახალი წარმომადგენელი იქნება არჩეული. ეს სისტემა გატარებულია, როგორც უმაღლეს საწარმომადგენლო დაწესებულებაში—რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტში, ისე ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში, ქალაქის, მაზრის და თემის საბჭოში. მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატები ხშირად უდგენენ ანგარიშს ამომრჩევლებს, როგორც თავისი, ისე იმ დაწესებულების მუშაობის და მოქმედების შესახებ, რომლის წევრებათ ისინი ითვლებიან.

ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ის კამპანია, რომელიც ამ დღეებში დაიწყო ტფილისში. სულ რამოდენიმე თვის წინად მოხდა არჩევნები ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატთა ტფილისის საბჭოში, რომელმაც ხელში აიღო ქალაქის და მაზრის საქმეების გაძღოლა, მშრომელთა ეკონომიურ კულტურული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ამ ხნის განმავლობაში არა თუ ამომრჩევლებს, ყველას საშუალება ჰქონდა გაეცნობოდა ხალხის წარმომადგენელთა მუშაობას და თავისი მსჯავრი დაედო მისთვის.

მიუხედავათ ამისა ტფილისის საბჭოს წევრები ამ დღეებში დაწვრილებითი ანგარიშს მისცემენ თავის ამომრჩევლებს ქალაქის საბჭოს და აღმასკომების მუშაობის შესახებ. ყოველ ამომრჩეველს შეუძლია დააფასოს თავისი წარმომადგენლის მუშაობა, პასუხი მიიღოს მისგან ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის გამო.

ამომრჩევლებმა თავისი მხრით უნდა გააცნონ დეპუტატები თავის შეხედულებებს და მოთხოვნილებებს, რომ საბჭომ მომავალი მუშაობის დროს მით იხელმძღვანელოს და მას შეუფარდოს თავისი მუშაობა.

ტფილისის მესამე მოწვევის საბჭოს განვლილი მუშაობა დღემდეც მუშათა ორგანიზაციებს და კომპარტიის კონტროლის ქვეშ წარმოებდა. სამოქმედო პროგრამა, რომელიც თავის დეპუტატებს მისცა მუშათა და გლეხთა მასებმა, თანდათანობით სრულდებოდა და ამ ქამად ქალაქის მეურნეობის საქმეები საკმაოდ გამოკეთებულია. ქალაქის აღმასკომი ჩაბმული იყო საადმშენებლო მუშაობაში და უნდა ითქვას, რომ შედარებით მცირე ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა საკეთილდღეოთ.

მაზრაში დამთავრდა აგრარული რეფორმის გატარება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უმიწაწყლო გლეხობისთვის; გაიხსნა საექიმო პუნქტები, გამოკეთდა შკოლების და გზების მდგომარეობა და სხვა.

ქალაქის ფარგლებში კომუნალური მეურნეობა სწორ საფუძველზეა დაყენებული: ტრამვაი, აბანოები, სასაკლაო და ელექტრო-სადგურები აკმაყოფილებენ მცხოვრებთა მოთხოვნილებებს და იმავე დროს თავის ხარჯებს თვითონვე ფარავენ. ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურზე მუშაობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალაქის მომავალისთვის გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს.

ბევრი რამ არის გაკეთებული ქალაქის გამშვენიერების საქმეში. მიღებულია ზომები მუშათა საბინაო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მუშა-მოსამსახურეები კომუნალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დროს მომავალში კიდევ მეტი შეღავათებით ისარგებლებენ. დამაკმაყოფილებელი იყო აღმასკომის მუშაობა სახალხო განათლების სფეროშიც, ქალაქის სკოლები და საბავშო სახლები, რომლებშიდაც თავს იყრიან უპატრონო და ღარიბ ოჯახებიდან გამოსული ბავშვები, სავსებით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და უზრუნველყოფენ ახალგაზრდობის რაციონალურ აღზრდა-განათლებას. ასევე ითქმის ჯანმრთელობის სფეროში მუშაობაზე და ყველა ამ მუშაობას მეტად დიდი ხარჯები სჭირდებოდა, მაგრამ ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა მაინც დამაკმაყოფილებელია, გამოჯანსაღებულია. ქალაქის აღმასკომის მიერ გაწეულ მუშაობის დაწვრილებითი ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით. მაგრამ საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის მეურნეობის ეხლანდელი მდგომარეობის შედარება შეუძლებელია იმ მდგომარეობასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა მენშევიკების დროს, როდესაც ქალაქის მეურნეობა თითქმის სრულ განადგურებამდე იყო მიყვანილი.

ქალაქის საბჭოს წევრების ანგარიშიდან ყველას შეუძლია დაწვრილებით გაეცნოს ქალაქის აღმასკომის მუშაობას და დარწმუნდეს, რომ მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის მიერ არჩეული დეპუტატები პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობას.

ამხ. ბიბინეიშვილის განმარტებას ხელახლა განმარტება სჭირდება

ჩემმა წერილმა: „საგადასახადო პოლიტიკა და პერსპექტივები ამიერკავკასიაში", სადაც მოყვანილი იყო სარევიზიო ანგარიშიდან ამოღებული მოკლე შენიშვნები ამიერ-კავკასიაში საგადასახადო საქმის მდგომარეობის შესახებ, გამოიწვია ამხ. ბიბინეიშვილის „მოკლე განმარტება ამხ. ერქომაიშვილის წერილის გამო" *).

ამხ. ბიბინეიშვილს ის აზრი გამოუტანია ჩემი წერილიდან, თითქოს „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს პირდაპირი გადასახადთა შემოღება დაწყებულიყოს 1923 წლის 9 მარტიდან, როდესაც გამოცემულ იქნა დეკრეტი საერთო სამოქალაქო გადასახადის შესახებ".

მე ვწერდი ამიერ-კავკასიის მასშტაბით არსებულ საგადასახადო პოლიტიკის შესახებ და სრულიად არ ვეხებოდი იმას, თუ როგორი იყო დაყენებული საგადასახადო საქმე ცალცალკე რესპუბლიკებში საფინანსო პოლიტიკის გაერთიანებამდე. (იხ. „კომუნისტი", № № 145, 146).

ამხ. ბიბინეიშვილის „მოკლე განმარტება" არამც თუ აშუქებს საკითხს, არამედ სრულ გაუგებრობას იწვევს. თუ მას მიზნად ჰქონდა ხაზი გაესვა საქართველოს პირდაპირი გადასახადთა პოლიტიკისთვის, არ უნდა დავიწყებოდა, რომ საერთო სამოქალაქო გადასახადის შესახებ დეკრეტის გამოცემამდის არა მარტო საქართველოში არსებობდა პირდაპირი გადასახადი. პირდაპირ გადასახადებიდან, რომელთაც თავის „განმარტებაში" ასახელებს ავტორი, მხოლოდ შრომის და ტვირთზიდვის ხარკი იყო შემოღებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ, და ისიც სავსებით შეთანხმებული იყო რუსეთში არსებულ შრომის და ტვირთზიდვის გადასახადთან და წარმოადგენდა ამ უკანასკნელის თითქმის სიტყვა-სიტყვით განმეორებას.

დანარჩენი გადასახადები მანამდეც არსებობდა და მზად გადმოვიდა საბჭოთა ხელისუფლების ხელში.

შემდეგ: „რუსეთთან შედარებით ჩვენი სისტემა გაცილებით უფრო გაუმჯობესებული იყო"-ო, ამბობს ოპონენტი და მაგალითად მოყავს საშემოსავლო გადასახადის სისტემა საქართველოში და რუსეთში.

ის სწერს: „რუსეთში შემოსავლის კვალობაზე გადასახადით იბეგრებოდა არა შემოსავალი რომელიმე დაწესებულების ან პირისა, არამედ მისი ქონება ან მთელი ბრუნვა"-ო

რა წყაროდან ამოიღო მან ეს ცნობები ჩვენ არ ვიცით. გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება ამ გადასახადით ქონების დაბეგვრა და მით უმეტეს ბრუნვისა. თვით დასახელება „საშემოსავლო" ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ გადასახადით იბეგრება მხოლოდ რეალური შემოსავალი სხვადასხვა წყაროებიდან (ვაჭრობა მრეწველობიდან, უძრავი ქონებიდან, ფულების თანხიდან და სხვა).

ამხ. ბიბინეიშვილი ურევს „საშემოსავლო გადასახადს" „სასარეწაოსთან" და ერთის ობიექტებს მეორის ობიექტებთან.

საშემოსავლო გადასახადის შესახებ კანონი რუსეთში პირველად გამოიცა 1916 წლის აპრილის 6-ს, მას შემდეგ ეს გადასახადი თითქმის შეუცვლელად მოქმედებდა საქართველოში დღემდის.

საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ ეს კანონი საქართველოში არ შეცვლილა, გარდა რამოდენიმე მუხლისა და საერთო საგადასახადო ნუსხისა. რუსეთშიაც დღეს, ახალი კანონის გამოქვეყნების შემდეგ, უცვლელად დარჩენ ძირითადი პრინციპები 1916 წლის 6 აპრილის კანონისა, და ჩვენ გვიკვირს, თუ როგორ მოძებნა ამხ. ბიბინეიშვილმა საქართველოში არსებულ საშემოსავლო გადასახადის წარმატება რუსეთში არსებულ ამავე გადასახადთან შედარებით, როდესაც ორივე თითქმის ერთნაირია და ერთ და იმავე წყაროდან არის ამოღებული.

შემდეგ ავტორი გადადის საერთო სამოქალაქო გადასახადზე. მისი აზრით, საქართველოსათვის ეს გადასახადი ზედმეტი იყო, რადგან საშემოსავლო გადასახადის საქმე კარგად არის დაყენებული. აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: პირველ ყოვლისა საერთო საშემოსავლო გადასახადი იყო შემოღებული იმის საცდელად, თუ როგორ შეძლებდით ამიერ-კავკასიის მასშტაბში მასსიური გადასახადის გატარებას და, მეორედ, ფულის ნიშნების სასწრაფო შეგროვებისათვის, რადგან ეს გადასახადი მასსიური იყო და მისი ნაწილი განსაზღვრული იყო გარკვეულ სახელმწიფო საჭიროებისათვის (სახელდობრ განათლების კომისარიატის განკარგულებაში გადავიდა 30 პროც.,) რათა საფინანსო აპარატს არ გასძნელებოდა გადასახადის მალე ჩატარება, მისი გაწერა სრულიად უბრალო სისტემაზე იყო აშენებული.

ამაზე უფრო მარტივი და ადვილად გასაწერი გადასახადი წარმოუდგენელია, და რადგან მიზნად გვქონდა გადასახადის სასწრაფოდ აკრება, ამიტომაც მიეცა მას დაკვრითი ხასიათი.

რაც შეეხება ამხ. ბიბინეიშვილის მიერ ნახსენებ 28 მარტის მოხსენებას, სადაც ის არა მარტო გასწორებებზე, არამედ რამოდენიმე შეცდომებზედაც გვითითებდა, ჩვენ ამ მოხსენებაზე სათანადო პასუხი გავეცით და ამისათვის არ შევუდგებით იმის გარჩევას, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო მასში აღძრული საკითხი.

შემდეგ ავტორს, მის მაგიერ, რომ მან პირდაპირ აღნიშნოს სამოქალაქო გადასახადის დაგვიანების მიზეზები, მოჰყავს პირდაპირ გადასახადთა შემოსავალი 1922 წელში. ის ამბობს, რომ საქართველოს 1922 წლის შემოსავალი ორჯერ აღემატებოდა ამავე წლის შემოსავალს სომხეთსა და აზერბეიჯანში ერთადო.

გვჯერა, მაგრამ რა უნდოდა ამით ეთქვა ამხ. ბიბინეიშვილს. ალბად ეს ერთგვარი ფანდია, რომ კამათი სულ სხვა ნიადაგზე გადაიტანოს და აიცილოს თავიდან პასუხი, თუ რატომ აზერბეიჯანში, რომლის ცენტრი გაცილებით შორს არის ამიერ-კავკასიის ცენტრიდან, ვიდრე საქართველოს ცენტრი, გადასახადმა კარგათ ჩაიარა, როდესაც საქართველოში მან დაიგვიანა.

ავტორი გადადის პირდაპირ გადასახადთა შემოსავალზე საქართველოში მიმდინარე წლის პირველ ხუთი თვის განმავლობაში. ეს შემოსავალი უდრის 403.827.993.000 მან., ამბობს ის და ეინტერესება, თუ რამდენი შემოვიდა პირდაპირი გადასახადი აზერბეიჯანსა და სომხეთში იმავე დროის განმავლობაში. ინებეთ.

აზერბეიჯანში პირველ ხუთი თვის განმავლობაში პირდაპირ გადასახადთა შემოსავალმა 355 მილიარდ მანეთს შეადგინა; მაგრამ უნდა იცოდეს ამხ. ბიბინეიშვილმა, რომ საქართველოში გადასახადი მთლიანად ჩატარდა, რადგან აქ ძირითადი სარეწაო გადასახადი მოწმობების აღების სახით პირველად ტარდებოდა; აზერბეიჯანში კი მხოლოდ სარეწავი მოწმობების ღირებულების განსხვავებას იხდიდნენ, რადგან მოწმობები იყო აღებული 1922 წლის დეკემბერში 1923 წლისათვის განსხვავება დაახლოვებით შეადგენდა 40—45 მილიარდ მანეთს და რომ ზემოხსენებულ გარემოებას არ ქონებოდა ადგილი, როგორც ვხედავთ, აზერბეიჯანიც მოგვცემდა 405—410 მილიარდ მანეთს.

სომხეთის შესახებ ჩვენ ჩვენი აზრი გარკვევით გამოვთქვით პირველ წერილში და ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია ნათქვამის განმეორება.

შემდეგ მას უკვირს: „როგორ საქართველოში, სადაც კამპანიამ დეფექტებით ჩაიარა", დაახლოებით იმდენი აუკრეფიათ საერთო სამოქალაქო გადასახადი, რამდენიც აზერბეიჯანში, სადაც „კამპანიამ წარმატებით ჩაიარა"-ო.

ამიერ-კავკასიის ფინანსკომის საფინანსო-ეკონომიურ ბიუროს გაშოანგარიშებით, საერთო სამოქალაქო გადასახადი უნდა აკრებილიყო საქართველოში 189 მილიარდი მანეთი, ხოლო აზერბეიჯანში 128; მაშინ, როდესაც აზერბეიჯანმა გადააჭარბა მასზედ გაწერილი გადასახადის რაოდენობას, საქართველომ მოაგროვა მხოლოდ ორი მესამედი მასზე გაწერილ გადასახადისა (დაახლოებით 69 პროც.).

„პირდაპირ გაუგებარი" ეს კი არ არის, პატივცემულო ამხანაგო, არამედ ის რომ თქვენის აზრით საკმარისია, სხვამ შეცდომა დაუშვას, რომ თქვენ შეცდომებს ძალა დაეკარგოს.

რომ აზერბეიჯანში და სომხეთში მანეთიც რომ არ მოგროვილიყო, განა თქვენც ასე უნდა მოქცეულიყავით.

არა მარტო საქართველოში იყო დეფექტები, მაგრამ აქ აზერბეიჯანზე მეტი იყო და ჩვენც მხოლოდ ეს აღვნიშნეთ.

საფინანსო ორგანოებს უფრო მეტი ინიციატივა და მუყაითობა უნდა გამოეჩინა, რადგან ამ გადასახადის რეალური მნიშვნელობა მის სასწრაფო აკრეფაში გამოიხატებოდა. ჩვენ კი რას ვხედავთ.

9 მარტს გამოქვეყნებული დეკრეტი დაეგზავნა ა. კ. ფინანსკომის რწმუნებულებს 10 მარტს და ამავე დღის იყო მიღებული ფინანსკომის რწმუნებულის სამმართველოში. (რაზედაც არის სათანადო ხელწერილი) ამასთან ერთად დაგზავნილი იყო ცირკულიარები გადასახადის სასწრაფოდ გატარების წესის აღნიშვნით და ესეც 10 მარტს იყო მიღებული და არა 13-ს, როგორც ამას სწერს ამხ. ბიბინეიშვილი.

ჩვენ მიერ რევიზიაზე გაგზავნილ ოფიციალურ პირის ჩვენებით, მხოლოდ 20 მარტს იყო აღძრული შუამდგომლობა ცენტრალურ კომიტეტის წინაშე საჭირო მომუშავეების გამოგზავნის შესახებ. და მიუხედავად გადასახადის აკრეფის წესების მე-17 მუხლისა, კომისართა საბჭოს და პროფკავშირების წინაშე შუამდგომლობა აღძრული არ იყო.

ამხ. ბიბინეიშვილი მოთხოვნილების დაგვიანებას იმით ხსნის, რომ, ვითომც, სანამ ინსტრუქციები გამრავლებული და გადათარგმნილი არ იქნებოდა, მანამ მომუშავეთა მოთხოვნა მიზანშეუწონელი იქნებოდაო.

ასეთი თავის გამართლება უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. ჩვენ ვეთანხმებით, რომ ინსტრუქციების სახელმწიფო ენაზე გადათარგმნა საჭირო იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რო არ შეიძლებოდა მომუშავეთათვის თუნდაც ერთი ეკზემპლიარის გადათარგმნა და ამგვარად საქმის გაცნობა; თუ ეს გაჭირდება, პარტიული და პროფესიონალური მომუშავენი რუსულადაც გაიგებდნენ. ამით შესაძლებელია მუშაობაც ადრე დაიწყებოდა და გადასახადიც დროზე აიკრიფებოდა.

მაგალითისათვის გადავავლოთ თვალი აზერბეიჯანში მიღებულ ზომებს: იქ ცენტრალურ კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს და პროფორგანიზაციების წინაშე შუამდგომლობის აღძვრით არ დაკმაყოფილდნენ. საგადასახადო განყოფილებამ მოიწვია სამუშაოდ ეკონომიურ ფაკულტეტის მსმენელები და თვითონ გამონახა საშუალება, რომ არ ეცადა კრედიტის გახსნისათვის და წინასწარი ხარჯები ადგილობრივ წყაროებიდან დაფარა.

ამხ. ბიბინეიშვილს შეუძლიან უფრო ვრცლად გაეცნოს აზერბეიჯანში მიღებულ ზომებს ამხ. მარზაბეკიანის მოხსენებიდან, რომლის ასლიც მას გავუგზავნე.

ყოველივე ეს არ იყო საკამათო საგანი, მაგრამ იძულებული ვარ გავცე პასუხი ამხ. ბიბინეიშვილს, რადგან ამისი წერილი ბევრ არა სასურველ გაუგებრობას გამოიწვევდა.

საგადასახადო განყოფილებამ ვერ ისარგებლა მაღალ საფეხურზე მდგარ საგადასახადო ინსტიტუტით. ადგილობრივ მომუშავეთა წინააღმდეგ არავითარი ბრძოლება არ ყოფილა მიმართული, რადგან, ჩემის აზრით, უმეტესმა რაიონებმა, სადაც ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი მომუშავენი, გამოიჩინეს ენერგია და გადასახადის ადრე ჩატარების სურვილი და მათი ბრალი არ არის, თუ ცენტრის უყურადღებობით მათთვის ხანდახან შეუძლებელ ხდებოდა დაჩქარებითი მუშაობა.

ცენტრს რომ თვალყური ედევნებინა მაშინ, ცხადია, მის უახლოეს რაიონის საქმის ვითარებას გაიგებდა არა მაშინ, როდესაც აღძრული იყო შუამდგომლობა ვადის გაგრძელების შესახებ, არამედ უფრო ადრე და შეიძლება საქმეც გამოსწორებულიყო.

რამდენად არასასურველ ნიადაგზე იყო დაყენებული გადასახადის საქმე საქართველოში, სხვათა შორის, იქიდან სჩანს, რომ ფინანსკომის რწმუნებულის სამმართველოს საგადასახადო განყოფილებას არავითარი გეგმა არ შეუმუშავებია სამოქალაქო გადასახადის სასურველ შედეგებით ჩატარებისათვის.

ხშირად, როდესაც ესა თუ ის მაზრა ან ქალაქი განსაცვიფრებელ ცოტა გადასახადს იძლეოდა, ამას საგადასახადო განყოფილება არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ყოველ შემთხვევაში ცნობები გადასახადის გაწერის და შემოსავლის შესახებ შედიოდა ამიერ-კავკასიის ფინანსკომში სრულიად განუმარტებლად, რაც იწვევდა შეკითხვებს და რაიც ცხადია არ მოწმობს საქმის კარგად დაყენებას.

ჯერ ოთხი თვე გავიდა და საქართველოში ბევრი არის ისეთი მაზრები, რომლებიდგანაც ჯერ სრულიად უმნიშვნელო სამოქალაქო გადასახადია შემოსული, ასე რომ ამ პირობებში დროის უქონლობაზე მითითება პირდაპირ დაუშვებელია. საერთოდ უნდა ვთქვა, რომ დღევანდელ პირობებში, როდესაც თვითეულ კვირას და დღესაც აქვს მნიშვნელობა გადასახადის სისწრაფით აკრებაში, ვადების გადადებას ადგილი არ უნდა ქონდეს და საგადასახადო საქმე უნდა ხორციელდებოდეს უფრო მეტი სიფხიზლით და სიჩქარით.

ერქომაიშვილი.

---

*) იხ. გაზ. „კომუნისტი" № 153

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

ყოფილ მენშევიკების თბილისის საერთო საქალაქო კონფერენცია

24 ივლისს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა ქალ. თბილისის ყოფილ მენშევიკების საერთო საქალაქო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა ამხ. ფარნიევმა, პრეზიდიუმში ამხ. ტოფაძის წინადადებით არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

ფარნიევი, ლუკაშევიჩი, რუხაძე, ვარსამაშვილი, ჩლაიძე, ბეხოშვილი, თვაბიზოვა, გნოევაი, ხახარუდიძე და ვაჰარაძე.

სამდივნოში არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. **ელიაძე** და **მაკარტუმოვი.**

კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. **დიქტატურა თუ დემოკრატია** (ამხ. მარტინოვის მოხსენება).
2. **საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა და პარტიის დაშლა** (ამხ. ფარნიევის მოხსენება).
3. **ეროვნული საკითხი** (ამხ. რუხაძის მოხსენება).
4. **კონფერენციის დეკლარაცია.**
5. **ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევის შესახებ.**
6. **მიმდინარე საქმეები.**

პირველ საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. მარტინოვი (მოხსენების სრული ტექსტი დაბეჭდილი იქნება ჩვენს გაზეთში).

ამხ. მარტინოვის სიტყვის დროს კონფერენციაზე წითელი დროშით შემოვიდა ციხიდან განთავისუფლებული 38 მენშევიკი. კონფერენცია მხურვალე ტაშით შეხვდა თავის ამხანაგებს.

ამხ. მესხის სიტყვა.

მოსულთა სახელით გამოდის ამხ. მესხი შემდეგი სიტყვით:

ამხანაგებო, ჩვენ,—ყოფილი პოლიტიკური პატიმარნი, მივესალმებით სულით და გულით დღევანდელი ყოფილ მენშევიკთა კონფერენციის გახსნას. ჩვენ სრული ჩვენი შეგნებით უჭერთ მხარს საბჭოთა ხელისუფლებას. ვინაიდან დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა არის იგივეა მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ ბრძოლა. ამისათვის ვსტოვებთ ჩვენ მენშევიკურ პარტიაში მუშაობას. ვდებთ მასზე ხელს და ვუერთდებით საბჭოთა ხელისუფლებას.

შემდეგ ამხ. მესხი ოცდათვრამეტი ამხანაგის სახელით კითხულობს დეკლარაციას (დეკლარაცია გამოქვეყნებული იქნება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში).

ამხ. ფარნიევის მოხსენება.

ამხ. ფარნიევი კონფერენციის სახელით მიმართავს მოსულ ამხანაგებს შემდეგი სიტყვებით:

ამხანაგებო, თქვენ მოისმინეთ ამხ. მესხის მისალმება. კონფერენციისა და პრეზიდიუმის სახელით მივესალმებით ამ ამხანაგებს და ვამბობთ, რომ, თუ უწინ ძველი რეჟიმის დროს ციხეში მზადდებოდა გონება მუშებისა სოციალისტური მიმართულებისაკენ, თუ მაშინ მუშები იქ ღებულობდნენ ცოდნას, ეცნობოდნენ ერთმანეთს, უკვირდებოდნენ ცხოვრების სინამდვილეს და იქიდან გამოდიოდნენ გაწვრთნილი, ეხლა ვხედავთ, რომ ის ამხანაგები, რომელნიც ციხეში იმყოფებიან, უკვირდებიან ცხოვრებას, უკვირდებიან ჩვენს მოქმედებას, ჩვენს მოღვაწეობას, შემცდარი იყო ის თუ არა, ამას ხაზგასმით აღნიშნავენ. და ყველაფერმა ამან ერთად აღებულმა მიიყვანა ამხანაგები იმ დასკვნამდე, რომ შემცდარი იყო ის ხაზი, ის გზა, რომლითაც აქამდე ვიდოდით ამ ამხანაგებთან ერთად. დღეს კი ამ კონფერენციაზე მათი და ჩვენი აზრი ერთი და იგივეა. ეს არის ის აზრი, რომ ჩვენ თუ აქამდე ვერ ვუწევდით ღრმა ანალიზს, ვერ ვუკვირდებოდით ჩვენ წარსულში ბრძოლის გზებს და მეთოდებს, თუ ვიჩენდით ცალმხრივობას, თუ მიუღებლად მიგვაჩნდა ახალი გზა და მივდიოდით ორიენტაციით დემოკრატიისაკენ, ახლა დავადექით სწორ გზას, გზა მუშათა და გლეხთა დიქტატურისაკენ იპყრობს ჩვენს ყურადღებას და ჩვენი ამხანაგების ყურადღებასაც. უნდა მივცეთ ფიცი ამხანაგებს, რომელნიც ციხიდან მოვიდნენ წითელი დროშით, რომ ამ დროშის ქვეშ ვიბრძოლებთ პროლეტარიატის საბოლოო მიზნების განსახორციელებლად, სოციალიზმის დასამყარებლად. გაუმარჯოს რევოლიუციონურ დროშას, გაუმარჯოს სოციალიზმს. (ტაში).

ამხ. ფარნიევის სიტყვის შემდეგ ამხ. მარტინოვი განაგრძობს და ათავებს თავის მოხსენებას. შემდეგ ამხ. მარტინოვი იძლევა ვრცელ, ამომწურავ პასუხს მიცემულ შეკითხვებზე.

ამხ. რუხაძის წინადადებით დადგენილ იქნა—გახსნან კამათი ამხ. ფარნიევის მოხსენების შემდეგ.

დადგენილ იქნა კონფერენცია განაგრძონ სახელმწიფო თეატრში.

ჭიათურის მენშევიკი მუშები მენშევიზმის წინააღმდეგ

19 ივლისს, დღით, ხუთშაბათს ქ. ჭიათურის თეატრის დარბაზში მოწვეულ იქნა ჭიათურის მაღაროების, ქარხნების საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა მენშევიკების და ყოფილ მენშევიკების მრავალრიცხოვანი კრება, რომელიც გახსნა სრულიად საქართველოს საინიციატივო ბიუროს სახელით ამხ. კ. შენგელიამ.

უკანასკნელს დაესწრნენ ს. კ. პ. ც. კ.-ის წარმომადგენელი ამხ. შ. ლეჟავა და ს. ა. კ. კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ვ. სტურუა.

მენშევიზმზე და ბოლშევიზმზე მოხსენებით გამოვიდა მენშევიკურ პარტიის ყოფილი ლიდერი და თეორეტიკოსი—ამხ. მარტინოვი, რომელმაც ნათლად დაუხატა დამსწრეთ მენშევიზმის ყალბი გზა სოციალიზმისაკენ, ღალატი რევოლიუციისადმი, მისი ბურჟუაზიის მხარეზე გადაქცევა და სხვა.

შეება ოქტომბრის რევოლიუციას და საბჭოთა რესპუბლიკის კავშირს, რომლის წითელი დროშა ამაყად ფრიალებს დედა-მიწის ერთ მეექვსედზე.

მოხსენების გამო ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. მარტინოვის—მენშევიზმზე და ბოლშევიზმზე, ჭიათურის ქარხნებ-მაღაროების მუშების და მენშევიკების და ყოფილ მენშევიკების გაერთიანებულმა კრებამ დავადგინეთ: სრულიად ვიზიარებთ ამხ. მარტინოვის დებულებებს. ამიერიდან ვსწყვეტთ ყოველივე კავშირს მენშევიკურ პარტიასთან და მის ხელმძღვანელ მეორე ინტერნაციონალთან, რომელიც გახდა ბურჟუაზიის და კონტრ-რევოლიუციის ბრმა იარაღი. ვუერთდებით მე-3-მე კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომელმაც სრულიად გაარკვია მუშათა კლასის ჭეშმარიტი გზა—კომუნიზმისაკენ.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის შტაბს—მე-3-მე კომინტერნს.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხ. ლენინს!

გაუმარჯოს ამხ. მარტინოვს, რომელმაც უარყო ძველი გზა მე-2-ე ინტერნაციონალისა და სრულიად გაგვიშუქა ჯერ კიდევ ჩვენთვის ბურუსით მოცული გზა მე-3-ე კომინტერნის დროშისაკენ.

შემდეგ ამხ. ლეჟავა მოკლედ შეეხო ამხ. მარტინოვის მოხსენებას და სოც.-დემ. პარტიის ისტორიას, 1903 წლის განხეთქილებას, მენშევიზმის გახრწნას და სხვა.

დაბოლოს სიტყვა წარმოსთქვა ყოფილმა მენშევიკმა ამხ. კ. შენგელიამ, რომელმაც უმთავრესად ხაზი გაუსვა მე-2 ინტერნაციონალის ბელადების ღალატს მუშათა კლასისადმი, მათ სოციალ-პატრიოტებად გადაქცევას და სხვა.

მომხსენებელმა სთქვა,—მენშევიკურ პარტიის საუკეთესო ნაწილმა უკვე შეიგნო თავის ბელადების ღალატი, მათი ყალბ გზაზე დადგომა და ამიტომ სრულიად შეგნებულად დასტოვა პარტია.

ის პროვოკაციული ხმები, ვითომც მენშევიკები პარტიას სტოვებენ რეპრესიების გამო, სრულ სიცრუეს შეიცავს.

ნამდვილი რევოლიუციონერი კი იდეიას არ უღალატებს, კიდეც რომ ჰქონდეს ადგილი ძალადობას, მაგრამ დღეს მენშევიკურ პარტიის უტაქტიკობამ და ბურჟუაზიისადმი მიმხრობამ ჩამოაშორა მის რიგებს საუკეთესო ნაწილი, რომელმაც თანაგრძნობა გამოუცხადა კომუნისტურ პარტიას, რადგან ის ერთად ერთი დამცველია მუშათა კლასის ინტერესებისა.

დაბოლოს მან მოუწოდა დამსწრეთ, რათა მენშევიკებიდან აერჩიათ საინიციატივო ჯგუფი, რომელიც აწარმოებს მუშაობას მაზრის მასშტაბით და მოიწვევს კონფერენციას ყოფილ მენშევიკებისას; ამ კონფერენციაზე სრული უფლება ექნებათ დაესწრონ ისინიც, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუტოვებიათ პარტია.

არჩეულ იქნა საინიციატივო ჯგუფი ხუთი კაცის შემადგენლობით; კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას" ცნობები)

რუსეთის ცნობის გარშემო

რუსეთი და დანია.

კოპენჰაგენი. 23 ივლისი. მოსკოვში დანიშნულ დანიის მომავალ დელეგაციის მეთაურმა, გენერალურმა ელჩმა შოუმ გაზ. „პოლიტიკენის" წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რუსეთს და დანიას არ შეეძლოთ დიდი ხნით განცალკევებულათ არსებობა. დანია დიდი ხანია სარგებლობს ციმბირის გლეხთა ნდობით, რომელთაც დიდი სარგებლობა ნახეს დანიიდან მიღებულ ერბოს დამმზადებელ მანქანის საშუალებით. მრეწველთა წრეები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ დელეგაციაში არ არის მრეწველობის წარმომადგენელი და შუამდგომლობენ ასეთის დანიშვნის შესახებ".

„პოლიტიკენი" ხაზს უსვამს, რომ კოპენჰაგენს შეუძლია გახდეს რუსეთის ვაჭრობის ცენტრადო.

რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულება.

თეირანი. 23 ივლისი. თავრიზის ვაჭართა დელეგაცია შეეკითხა ადგილობრივ გენერალ გუბერნატორს რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შეჩერების მიზეზის შესახებ, რაც დიდ ზიანს აყენებს ვაჭართა ინტერესებს.

ლოზანის კონფერენცია

ხელის მოწერა საზავო ხელშეკრულებაზე

ლონდონი. 25 ივლ. **გუშინ დილით, ლოზანაში მოკავშირეთა და ოსმალეთის დელეგატებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. ხელის მოწერის ცერემონია დაიწყო შვეიცარიის პრეზიდენტის შერერის სიტყვით. სიტყვის დასრულების შემდეგ შერერმა წინადადება მისცა სახელმწიფოების სრულუფლებიან წარმომადგენლებს ხელი მოეწერათ ხელშეკრულებაზე. პირველ რიგში მაგიდასთან მივიდნენ და ხელი მოაწერეს დოკუმენტებს და ოქმებს ოსმალეთის დელეგაციის წევრმა ისმეტ-ფაშამ, რიზა ნური-ბეიმ და გასან-ბეიმ, ოსმალეთის დელეგაციის შემდეგ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა რუმბოლდმა (ინგლისის დელეგაციის მეთაურმა); შემდეგ საფრანგეთის და იტალიის დელეგატებმა, ვენიზელოსმა და კაკლამანოსმა (საბერძნეთის) და იაპონიის, რუმინიის, ბულგარეთის და პორტუგალიის დელეგატებმა. დოკუმენტების ხელისმოწერის შემდეგ შვეიცარიის პრეზიდენტმა შერერმა წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა, ხოლო დელეგატებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს ლოზანას ყველა ეკლესიებში რეკავდნენ ზარებს, ყველა საზოგადოებრივი შენობები მორთული იყო ფლაგებით.**

დელეგაციების წასვლა ლოზანიდან

პარიზი. 25 ივლ. გუშინ საღამოს ინგლისის დელეგაცია წავიდა ლოზანიდან. დღეს მიემგზავრებიან საფრანგეთისა, იტალიისა და იაპონიის დელეგაციები.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი.

ჯელალ—ედდინი დასასვენებლათ მიდის.

რომი. „ჯორნალე დ-იტალია" იტყობინება, რომ ოსმალეთის მთავრობამ მიიღო რომის ელჩის, ჯელალ ედინ-ბეის გადადგომა, რომლის მაგივრადაც ინიშნება სუადბეი; გადმოგვცემენ, რომ ჯელალ ედდინბეი სრულებით უარს ამბობს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე და თავიდან იხსნის ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობის ერზერუმის დეპუტატის სახელს.

ოსმალეთის სახელმწიფო ბანკი.

რომი. 25 ივლისი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმათ ოსმალეთის ბანკის დირექტორი გაემგზავრა პარიზში ბანკის ადმინისტრატიულ საბჭოსთვის მოხსენების გასაკეთებლათ ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ, უკანასკნელის პროექტთან დაკავშირებით ოსმალეთის ბანკის სახელმწიფო ბანკათ გადაკეთების შესახებ.

ალბანეთი და ოსმალეთი.

პარიზი. 25 ივლისი. ალბანეთის მთავრობამ დაადგინა მჭიდრო დამოკიდებულება დაამყაროს ოსმალეთთან. ამასთან დაკავშირებით სტამბოლში გაემგზავრა სპეციალური მისია, რომელსაც მეთაურობს ალბანეთის ეროვნულ კრების თავმჯდომარე. სტამბოლიდან მისია გაემგზავრება ანგორაში.

ბულგარეთი.

რომი. იტალიის გაზეთები იტყობინებიან, რომ ბულგარეთის წრეებში დიდი უკმაყოფილებაა კარაგაჩის საკითხის გადაწყვეტის გამო. ბულგარეთში ფიქრობენ, რომ კარაგაჩის ოსმალების ხელში გადასვლით, ეგეის ზღვაში გასვლის აზრს ნიადაგი ეკარგება. იმედები საკითხის გადაწინჯვაზე სუსტია, რადგან მოკავშირეები კმაყოფილნი არიან მიღწეული შეთანხმებით.

ჩესტერის კონცესიების გარშემო

ლონდონი. 23 ივლისი. ლოზანაში საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო, ჩესტერის კონცესიების საკითხი, ალბად, რამდენიმე თვით გადაიდება, ვინაიდან საზავო ხელშეკრულებაში არ არის ნაჩვენები ოსმალეთისა და ირაკის საზღვრები, კერძოდ მოსულის ვილაიეტისა, რომელიც ოსმალეთ-ირაკს შუა მდებარეობს, ამიტომ თუ მოსსულის საკითხი 9 თვის განმავლობაში გადაუჭრელი დარჩა, ნაციათა ლიგა ან ურთიერთი მისი ორგანო არბიტროობას იკისრებს ამ საკითხში. საზღვრების საკითხის ასეთი გადაწყვეტა ჩესტერის კონცესიების იმ ნაწილს ეხება, რომელიც მოსსულთან არის დაკავშირებული.

თუ კონცესიონერებს ხელიდან გამოეცლებათ მოსსულის ნავთი, მაშინ კონცესიას საერთოდ აღარ ექნება ის მნიშვნელობა.

ექსპერტების აზრით, ერთად-ერთი ღირებულება ანატოლიის რკინის-გზებისა მდგომარეობს ადგილობრივ მადნეულ სიმდიდრეთა ექსპლოატაციაში და არა თვითონ რკინის-გზაში. თუ მოსსული ოსმალეთს კი არა ირაკს მიეკუთვნა, რომელიც ინგლისის ბატონობას ექვემდებარება, მაშინ ჩესტერის კონცესიები გაბათილებულად ჩაითვლება. ამერიკის მთავრობის აზრით, ომის წინ არსებული ინგლისის კონცესიები ოსმალეთში გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. თუ მოსსული ოსმალეთს გადაეცა, მაშინ დავა ასტყდება ჩესტერისა და „როიალ დეჩ კომპანი"-ს შორის. ინგლისის ხელშია „როიალ დეჩ კომპანის" აქციათა უმეტესი ნაწილი. ამ გვარად გაგრძელდება კერზონისა და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის შორის აღძრული დავა, რომელიც რამდენიმე წელიწადია. რაც დაიწყო და ეხლაც ლოზანაში გრძელდებოდა ლონდონში ყოფილ ამერიკის ელჩის კრიუსსა და ინგლისის დელეგაციის მეთაურ რუმბოლდის შორის. მდგომარეობა მით უფრო გართულებულია, რომ ინგლისი კერძოდ უკვე დაეთანხმა მოსსულის გადაცემაზე ოსმალეთისათვის, თუ ოსმალეთი აღიარებს ინგლისის პრეტენზიებს მოსსულის ნავთზე. მაგრამ, როგორც უკანასკნელ ამბებიდან სჩანს, ანგორის მთავრობამ თავისათვის საუმჯობესოდ დაინახა კონცესიები მიეცა ჩესტერიათვის.

საკონტრიბუციო საკითხი

„ტაიმს"-ის წინასწარმეტყველება.

ბერლინი, 24 ივლისი. „ტაიმს"-ი წინასწარმეტყველობს სერიოზულ სოციალურ და ეკონომიურ კონფლიქტს და მოელის ქაოსს მთელს საშუალო ევროპაში. გაზეთი კიცხავს მოკავშირეებს იმის გამო, რომ მათ თავის დროზე ხელი არ შეუწყვეს მტკიცე მთავრობის შექმნას გერმანიაში, და მოითხოვს, რომ საფრანგეთმა დაუყოვნებლივ და პირდაპირ უპასუხოს ინგლისის წინადადებაზე.

ცნობა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შესვლის შესახებ ს. ს. რ. კ-ში.

ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედერატიულ სოც. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის ნოტა.

ტფილისი 25 ივლისი. ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. სოც. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ამხ. გუსეინოვმა პირადათ გადასცა ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილეს, სპარსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს და ამავე დროს დაუგზავნა გერმანიის გენერალურ ელჩს, იტალიის ელჩის მოვალეობათა აღმსრულებელს და ბუხარას სახ. სოც. რესპუბლიკის გენერალურ ელჩს შემდეგი შინაარსის ნოტა:

„მოწყალეო ხელმწიფევ! იმ დეკლარაციის და ხელშეკრულებათა თანახმად რომელიც მიღებულია ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის (რომლის შემადგენლობაში შედიან: აზერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა), რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის, უკრაინის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის და ბელორუსიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ და რომელიც მოწონებულია ამ რესპუბლიკების უმაღლესი ხელისუფლების მიერ და დამტკიცებულია სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ 1923 წ. 6 ივლისს, როგორც სპეციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონი, ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა ყველა სხვა ზემოდ დასახელებულ რესპუბლიკებთან ერთად შევიდა აღნიშნულ აქტით შექმნილ საკავშირო სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელსაც ეწოდება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი (ს. ს. რ. კ.) ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტი, რომელიც ამიერიდან შემოფარგლულია კავშირის ძირითად კანონში აღნიშნულ საზღვრებით იმ დარგებში, რომელიც შეადგენს კავშირის კომპეტენციას, დანარჩენში განხორციელებული იქნება ამიერ-კავკასიის სოც.-ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის მიერ, რომლის სუვერენულ უფლებებს დაიცავს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. კავშირის, ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. სოც. რესპუბლიკის და სხვა ყველა დასახელებულ რესპუბლიკების საერთაშორისო ურთიერთობანი, და აგრეთვე საგარეო ვაჭრობა, საბაჟო სისტემა, გზათა, ფოსტა-ტელეგრაფის მართვა-გამგეობა, და როგორც საერთო საკავშირო, ისე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საკონცესიო ხელშეკრულებათა დადება ამიერიდან განხორციელებული იქნება სოც. საბჭ. რესპ. კავშირის ძირითად კანონით უფლება-მოსილ კავშირის ცენტრალურ ხელისუფლების ორგანოების საშუალებით. ზემოთ აღნიშნულის თანახმად, ამ.-კავკასიის ს.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკამ გადასცა სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირს ყველა მისი საერთაშორისო დამოკიდებულებათა გამგებლობა, მათ შორის მის მიერ დღემდის დადებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დღემდე ძალაში შესულ (ცხოვრებაში გატარება, რომელნიც, როგორც აგრეთვე ამიერ-კ. საბჭ. ფედ. რესპ. ტერიტორიაზე დღემდის ძალაში შესული, საკონცესიო ხელშეკრულებანი, მისი კანონმდებლობის მიხედვით, სოციალისტურ საბჭ. რესპუბლიკების კავშირის მიერ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე დაცულნი იქნებიან წინანდელი სახით და საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა განხორციელება, რომელიც ამიერიდან გადადის სოც. საბჭ. რესპ. კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შინაურ და საზღვარ-გარეთელ ორგანოების ხელში.

ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედერ. სოც. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატს აქვს პატივი მოგმართოთ თქვენ თხოვნით, აცნობოთ ეს განცხადება თქვენს მთავრობას. მიიღეთ რწმუნება თქვენდამი პატივისცემასა და ერთგულებაში". ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **დ. გუსეინოვი.**

ინგლისის წინადადებები მიუღებელია საფრანგეთისათვის.

ბერლინი, 24 ივლისი. საპასუხო ნოტის ინგლისის პროექტი ისევ სასტიკი საიდუმლოებით არის დაცული. მიუხედავათ ამისა გაზეთები **სწერენ რომ საფრანგეთი არ ეთანხმება ინგლისის წინადადებებს.** „მატენ"-ის განცხადებით, საფრანგეთის პასუხში აღნიშნული იქნება საფრანგეთის შეხედულება რურის საკითხებზე; ეს შეხედულება ძალიან განსხვავდება ინგლისის შეხედულებისაგან რურის ოკუპაციაზე.

ლოიდ-ჯორჯის პასუხი პუანკარეს სიტყვაზე.

პარიზი, 24 ივლისი. თემთა პალატაში ლლოიდ-ჯორჯი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც სთქვა: „საფრანგეთს აქვს ქარხნები, რომელნიც მოწყობილნი არიან თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით. მას აქვს გემების ასაშენებელი ახალი სახელოსნოები, არხები, აშენებს ახალ რკინის გზებს და სავაჭრო ფლოტს მილიონიან ტონაჟით. ამიტომ მე მაკვირვებს პუანკარეს სიტყვის ის ადგილი სადაც ის კიცხავს გერმანიას ფულის დახარჯვისათვის არხების გასაყვანათ, იმის მაგიერათ, რომ მან კონტრიბუცია გადაიხადოს."

ინგლისის პასუხი.

პარიზი, 23 ივლისი. გერმანიისათვის გადასაცემი პასუხის ინგლისის პროექტი 24 ივლისს განიხილა საფრანგეთისა და ბელგიის მინისტრთა საბჭომ. ფრანგული გაზეთების აზრით, პარიზი და ბრიუსელი ერთმანეთს გაუზიარებენ თავ-თავის აზრს საერთო პასუხის შესადგენათ.

„ტან"-ის ცნობით, ბელგიას მოლაპარაკების დაწყების აუცილებელ პირობად მიაჩნია გერმანიის მიერ წინასწარ პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა. ბელგია წინააღმდეგია გერმანიის გადამხდელობის უნარიანობის გამოსარკვევად ექსპერტების საერთაშორისო კომისიის შედგენის.

იტალიის მთავრობის აზრი.

ლონდონი. 23 ივლისი. ლონდონის წრეების აზრით, იტალიის მთავრობის შეხედულება სარეპარაციო საკითხზე თითქმის ეთანაბრება ინგლისის საპასუხო პროექტში გამოთქმულ აზრს.

გაზეთების აზრი.

პარიზი. 23 ივლისი. ფრანგული გაზეთები კრიტიკულათ უცქერიან ინგლისის პროექტს და ინგლისის წინადადებას მიუღებლად სთვლიან.

„მატენ"-ი სწერს: რურის ოკუპაციის შესახებ საფრანგეთის პასუხში გამოთქმული მოსაზრებანი სრულებით ეწინააღმდეგება ინგლისის პროექტს. ამერიკულ გაზეთებს მისაღებად მიაჩნიათ ინგლისის წინადადება, გერმანიის გადამხდელობის უნარიანობის გამოსარკვევად ექსპერტთა საერთაშორისო კომისიის შედგენის შესახებ.

„ტაიმს"-ი ინგლისის საპასუხო პროექტის შესახებ სწერს: „ინგლისის მთავრობა იძულებული იყო გადაედგა ეს ნაბიჯი, რომელზედაც ეხლა უარს ველარ იტყვის. ეს ნაბიჯი გერმანიას იძულებულს გახდის გარკვეული ღონისძიებანი მიიღოს, რასაც მოჰყვება ნორმალური ცხოვრების პირობებში დაბრუნება, რეპარაციის განაღდება და ევროპაში წონასწორობის დამყარება.

ინგლისის პროექტი მოკავშირეებს გაეგზავნა.

ლონდონი. 25 ივლისი. ბალდვინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის პროექტი გერმანიისათვის გადასაცემ პასუხისა უკვე გაეგზავნა საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, იაპონიის მთავრობებს და აგრედვე ეცნობა ამერიკასაც.

პუანკარეს მოხსენება.

ლონდონი. 25 ივლისი. როგორც „დეილი მეილ"-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, პუანკარემ საფრანგეთის კაბინეტს გუშინ მოახსენა საპასუხო ნოტის ინგლისის პროექტი და ინგლისის მემორანდუმი. ამასთანავე განმარტება მისცა ბელგიასთან წარმოებულ მოლაპარაკების შესახებაც. ფიქრობენ, რომ საფრანგეთის პასუხი 6 დღის შემდეგ იქნება მზად.

მუსოლინის აზრი პასუხის პროექტის შესახებ.

ბერლინი. 25 ივლისი. „დეილი ტელეგრაფ"-ი იუწყება, რომ მუსოლინი სრულებით დაკმაყოფილებულია გერმანიისათვის გადასაცემ პასუხის ინგლისის პროექტით, თუმცა განცვიფრებულია იმის გამო, რომ პროექტში გარკვევით არ არის წამოყენებული წინადადება საერთაშორისო ვალების შესახებ.

შეთანხმებას ცდილობენ.

ბერლინი. 25 ივლისი. საფრანგეთისა და ბელგიის კაბინეტი განაგრძობენ ინგლისის საპასუხო პროექტის განხილვას. როგორც სჩანს, ორივე მთავრობა სცდილობს ერთმანეთს შეუთანხმდნენ, სანამ ლონდონთან დაიწყებენ მოლაპარაკებას.

ოკუპაციის გარშემო

სასურსათო კრიზისი.

პარიზი, 24 ივლისი. ვიტტენში სასურსათო კრიზისი დაიწყო. ხორცზე ფასები ამ რაიონში მეტად მაღალია. საქონლის მორეკა ძლიერ შემცირდა.

რეიხსბანკის განყოფილებების სალაროების ხელში ჩაგდება.

ბერლინი. 25 ივლისი. ორშაბათს ფრანგებმა დორტმუნდში დაიკავეს რეიხსბანკის ადგილობრივი განყოფილება, იმ იმედით, რომ ხელში ჩაეგდოთ იქ 6 მილიარდამდი მარკა, მაგრამ მათ შეძლეს მხოლოთ 1 მილიარდი მარკის ხელში ჩაგდება.

ბერლინი. 25 ივლისი. მაინცში ოკუპანტებმა რეიხსბანკის ადგილობრივ განყოფილებაში ხელში ჩაიგდეს 720 მილ. მარკა.

რკინისგზის მიმოსვლის შეწყვეტა.

რომი. 25 ივლისი. საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ აკრძალა რკინისგზით მიმოსვლა რეინლანდის ოლქში ჰამბურგისა და ფრანკფურტის შორის.

მართალია კი?

პარიზი. 25 ივლისი. საფრანგეთის საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა ლე-ტროკემ საფრანგეთის კაბინეტს ანგარიში წარუდგინა რურის ოლქში საინსპექციო მოგზაურობის შესახებ. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ კოკსის საწყობების არსებობა და მისი გამოზიდვის საქმე უზრუნველყოფილია. ყოველი ღონისძიებაა მიღებული, რომ საფრანგეთმა მიიღოს საკმაო სათბობი მასალა, მიუხედავად გერმანიის წინააღმდეგობისა. ტრანსპორტი სრულიად წესიერ მდგომარეობაშია. სამხედრო და საქონლის ტვირთის გადაზიდვა სავსებით უზრუნველყოფილია. მთელს ოლქში ყოველ დღე მიმოდის 300 სამგზავრო და 400 საქონლის მატარებელი.

ჯალათის დასაჩუქრება.

პარიზი. 25 აპრილი. დღეს საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ გენერალ დეგუტს გადასცა საპატიო ლეგიონის ორდენის დიდი ჯვარი.

პუანკარე რეპრესიების გაძლიერებით იმუქრება.

პარიზი. 24 ივლისი. პარიზის გაზეთების სიტყვით, პუანკარემ დეპუტატთა პალატაში პასუხი გასცა ტარდიეს და განაცხადა, რომ თუ გერმანია, არსებულ ცნობების საწინააღმდეგოთ გაძლებს ზამთრამდი, მაშინ საფრანგეთი გააძლიერებს მის შევიწროებას. „საფრანგეთი, სთქვა პუანკარემ, სრულებითაც არ იჩქარის და მოიცდის, სანამ გერმანია არ გაიგებს ვალის გადახდისა და ფინანსების მოწესრიგების აუცილებლობას. ამას აიძულებს მას ძლიერი შევიწროება საფრანგეთის მხრით და მისი მტკიცე ნება."

თავდასხმა მარშალ პეტენზე.

პარიზი. 24 ივლ. პარიზის გაზეთები იტყობინებიან, რომ მარშალ პეტენის მატარებელზე თავდასხმის შედეგები ბევრათ უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. პეტენი დაჭრილია, მისი თანამხლებელი ორი ოფიცერი კი მოკლული.

შიმშილის წინ.

ბერლინი. 24 ივლისი. გერმანიის მიწათმოქმედების მინისტრმა ლიუტერმა, რომელიც კარგად იცნობს რურს და აგრეთვე გაცნობილია ადგილობრივი წრეების სულისკვეთებასთან, განუცხადა ვოლფის სააგენტოს, რომ დაპყრობილ ოლქებს შიმშილობა მოელის. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა განაცხადა ლიუტერმა,— ფრანგებმა მიზნათ დაისახეს რურის სამრეწველო მიდამოების ბლოკადა, იმ მიზნით რომ აიძულონ მცხოვრებლები თვითონ დაემორჩილონ ოკუპანტებს მათ შესწყვიტეს რკინის გზებზე მოძრაობა, მოსპეს ყოველგვარი სანოვაგის შემოტანის შესაძლებლობა ოლქში, რომლის ოთხი მილიონი მცხოვრები არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ რკინის გზით შემოტანილ სურსათით. ფრანგების განცხადება, რომ სურსათს ისინი თვით შემოიტანენ იმის შემდეგ, როცა გერმანია ბელგია-საფრანგეთის მიერ ოკუპაციის დროს გაწეულ ხარჯებს გადაიხდის, აშკარათ მოწმობს მათი გეგმის პოლიტიკურ ხასიათს, მაგრამ მათ მოთხოვნილებას არ ემორჩილებიან არც რურის მცხოვრებნი და არც რკინისგზელები.

მცირე ანტანტა

ვენა 22 ივლისი. ჩეხური გაზეთი „ნოვა" მცირე ანტანტის კონფერენციის შესახებ სწერს, რომ საფრანგეთისა და ბელგიის დავა გერმანიასთან მეტის-მეტად გამწვავდა. ინგლის საფრანგეთის უთანხმოებაც ხელს ვერ უწყობს მდგომარეობის გამოკვეთებას. აუცილებლად საჭიროა, რომ მცირე ანტანტა გამოვიდეს, როგორც მთლიანი ერთეული. მართალია მცირე ანტანტაში პოლონეთის შემოსვლას აფერხებენ ზოგიერთი საკითხი, მაგრამ შესაძლებელია, რომ პოლონეთმა გამართოს მოლაპარაკება მცირე ანტანტასთან.

ბენეშის ორგანო აღნიშნავს: „შესაძლებელია პოლონეთმა მოლაპარაკება დაიწყოს მცირე ანტანტასთან, მაგრამ ჩეხია—პოლონეთის ურთიერთობა ისეთია, რომ ძნელი წარმოსადგენია ამ ორი სახელმწიფოს ჯდომა ერთი მაგიდის გარშემო".

განიარაღების საკითხი

ინგლისი.

კამათი მაკდონალდის წინადადების გარშემო.

პარიზი. 25 ივლისი. ინგლისის თემთა პალატაში მაკდონალდის წინადადების გარშემო წარმოებულ კამათის დროს, მაკდონალდმა თავის სიტყვაში დაამტკიცა, რომ ზავის ჩამოგდების შემდეგ ინგლისმა თავის შეიარაღებისათვის დახარჯა 1.290.000.000 გირ. სტერლ. და რომ ინგლისის პრესის მუდმივი მოწოდება შეიარაღებისათვის ქმნის იმ მდგომარეობისაკენ დაბრუნების შთაბეჭდილებას, რომელიც ომის წინ არსებობდა. თავის სიტყვის საბოლოო ნაწილში მაკდონალდმა მკაცრი კრიტიკა გაუკეთა ინგლისის განზრახვას სამხედრო ბაზის შექმნის შესახებ სინგაპურში.

კონსერვატიულ პარტიის წევრმა ო-ნეილმა აგრეთვე მთავრობის ყურადღება მიაქცია ახალი შეიარაღების საშიშროებას და მოითხოვა მათი შემცირება. მოუთმენელია და ბოროტებაა მეტოქეობა გაუწიოთ საფრანგეთს შეიარაღების საკითხში, განაცხადა ო-ნეილმა.

ბალდვინი განიარაღების წინააღმდეგია.

ბერლინი, 25 ივლისი. განიარაღების შესახებ მაკდონალდის წინადადების განხილვის დროს, ბალდვინმა აღნიშნა განიარაღების შეუძლებლობა, სანამ საფრანგეთის მიერ საკონტრიბუციო საკითხში შექმნილი მდგომარეობა არ შეიცვლება. ამასთანავე პრემიერმა აღნიშნა, რომ ინგლისმა იკისრა ამ მდგომარეობის შეცვლა, როდესაც მოკავშირეებს გადასცა გერმანიისათვის გადმოსაცემი საპასუხო ნოტის პროექტი.

სხვადასხვა ამბები

ავსტრია.

ტიროლის ფაშისტები.

ვენა. 22 ივლისი. ავსტრიის გაზეთები იტყობინებიან, რომ ახლო მომავალში ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დაესწრება ტიროლის ფაშისტების ორგანიზაციების ყრილობას. **სოციალ-დემოკრატებს განზრახვა აქვთ ტიროლის ფაშისტების მანიფესტაციას დაუპირდაპირონ მუშათა თავდაცვის რაზმების მანიფესტაცია.**

იტალია.

სოციალისტურ პარტიაში.

რომი. 22 ივლისი. იტალიის სოციალისტურ პარტიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა თავისი წინანდელი პოზიცია კომინტერნის მიმართ და აღნიშნა, რომ მოსკოვის წინადადება კომუნისტურ პარტიების ფედერაციის შესახებ ეწინააღმდეგება მილანის კონგრესის დადგენილებას.

პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ ერთხელ კიდევ მოსთხოვოს რედაქტორებს პადჟინსა და როსს შესწყვიტონ თავისი გამოცემები, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდიუმი მათ პარტიიდან გამორიცხვით ემუქრება.

საფრანგეთი.

შერიგდენ.

პარიზი. „ტანი" იტყობინება, რომ პუანკარე პირადათ გამოვიდა სენატში იმ კრედიტების დასაცავათ, რომელიც იხარჯება საფრანგეთის საელჩოს შესანახათ ვატიკანთან. პუანკარემ აღნიშნა, რომ ვატიკანი მხარს უჭერდა საფრანგეთს უკანასკნელ მოლაპარაკების დროს ესპანეთთან მაროკკოს საკითხის შესახებ, კარდინალი ბერტრამი, რომელმაც გერმანიის სასარგებლოთ გაილაშქრა ზემო სილეზიაში, დაუყონებლივ იყო გაწვეული. ამას გარდა, პაპამ დანიშნა საფრანგეთის მთელი რიგი ეპისკოპოზებისა მისიების გამგებლათ აღმოსავლეთში და ეპისკოპოზის ხარისხში აიყვანა რეინლანდის საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების კაპელლანი.

გერმანია

ცოტაა

ბერლინი 25 ივლისი. ლეიპციგის სასამართლომ თავად გოგენლოეს მეუღლეს ერხარტისათვის გაქცევის დროს ხელის შეწყობისათვის 6 წლით გამასწორებელ სახლში ჯდომა გადაუწყვიტა.

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი 25 ივლისი. მელითონეთა წლიურ ყრილობაზე დელეგატების არჩევის დროს კომუნისტებმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს.

29 ივლისის წინ.

ბერლინი 25 ივლისი. გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა 29 ივლისისათვის კრებები და პროცესიები აკრძალა იმის გამო, რომ ამ დღეს გერმანიის კომუნისტური პარტია აწყობს ანტიფაშისტურ დემონსტრაციებს.

შეიდემანელები ფაშიზმთან ბრძოლას საბოტაჟს უცხადებენ.

პარიზი, 25 ივლ. გერმანიის სოც.-დემოკრ. ლიდერები მოუწოდებენ პარტიის წევრებს კომპარტიის მიერ 29 ივლისისათვის გამოცხადებულ ანტიფაშისტურ დემონსტრაციაში მონაწილეობა არ მიიღონ.

პოლონეთი

ალბერტ ტომას წერილი ვიტოსისადმი

ვარშავა. 24 ივლისი. ალბერტ ტომამ წერილი გაუგზავნა ვიტოსს, რომელშიაც მადლობას უცხადებს იმ ოფიციალურ განცხადების გამო, რომ პოლონეთის მთავრობას არა სურს ხელფასის დაკლებით შეამსუბუქოს მრეწველობის მძიმე მდგომარეობა. ეს წერილი ა. ტომამ იმ დროს გაუგზავნა ვიტოსს, როცა პოლონეთის პოლიცია ლოძსა და ჩესტოხოვში მუშებს ხვრეტდა.

ფაშისტები მუშაობენ.

ვარშავა. 24. ივლისი. ოფიც. გაზ. „გოლოს ს" მოჰყავს პოლონეთის ფაშისტების ცენტრალურ ორგანიზაციის წერილი, რომელიც დაეგზავნა ვარშავის გარნიზონის ოფიცრებს. წერილი აუწყებს ოფიცრებს, რომ ისინი ჩარიცხულნი არიან ფაშისტების ორგანიზაციაში და იწვევს მათ ფაშისტების კრებაზე დასასწრებლად.

ავსტრია

შეთანხმებლების პოლიტიკის შედეგი.

ვენა 23 ივლისი. ოტტო ბაუერი წიგნში „ავსტრიის რევოლიუცია" აღნიშნავს, რომ **მუშათა კლასის პოზიცია ავსტრიის პარლამენტში შეირყა.** მთავრობას შეუძლია ეხლა მიმართოს ერთა-ლიგის ავტორიტეტს. მას ჰყავს პარლამენტში უფრო შეკავშირებული უმრავლესობა, ვიდრე წინად. უმუშევრობის დროს, პარლამენტის გარეშე პროლეტარიატის გამოსვლები მას აღარ უნდა ამონებდეს ჟენევის ხელშეკრულებით მთავრობისათვის მინიჭებულმა უფლებებმა ძალიან შეზღუდა პარლამენტის დემოკრატია.

აქტიური დემოკრატია თითქმის გაქრა. შემძლებელ კლასების მთავრობა სცდილობს ისარგებლოს მუშათა სისუსტით, რათა აღადგინოს რესპუბლიკის ბატონობა.

ბაუერის წიგნი არის არა მარტო საკუთარი გაკოტრების აღიარება, არამედ ამტკიცებს იმას, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატები მიუხედავათ მწარე გამოცდილებისა, არ ფიქრობენ შესცვალონ ტაქტიკა, რომელმაც სრული კრახი გამოიწვია პარტიაში.

ამერიკა

პრეზიდენტის კანდიდატი.

ნიუ-იორკი. 23 ივლისი. სენატორ კოპლანდის განცხადების თანახმად პრეზიდენტის მთავარ კანდიდატად დემოკრატიულ პარტიიდან იქნება ვილიამ მაკადუ, მაგრამ გამარჯვება დარჩება ფორდს, თუ მას დაასახელებს ერთ-ერთი ძველი პარტიათაგანი.

„კომუნისტები"

ნიუ-იორკი. 23 ივლისი. „ნიუ-იორკ გერალდი" იუწყება, რომ შეერთებულ შტატებსა და კანადაში მოსალოდნელია დიდძალი კომუნისტ-აგიტატორების თავის მოყრა რუსეთიდან დაბრუნებულ „არას" თანამშრომელთა სახით. იუსტიციის დეპარტამენტის საგამომძიებლო განყოფილება აცხადებს, რომ მას არავითარი ცნობები არ აქვს აგიტატორ-კომუნისტების ჩასვლის შესახებ.

ლატვია

რიგის გამოფენა.

რიგა. 23 ივლისი. რიგის გამოფენის გახსნას დაესწრენ პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო მეეროვიცის მეთაურობით. რუსეთი მონაწილეობას ღებულობს 20 სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებისა და ტრესტების სახით. პრესა აღნიშნავს რუსეთის ფაიფურის ნაწარმოებთა მაღალ ღირსებას და მხატვრობას.

საბჭოთა კავშირში

ჯანმრთელობის სახალხო კომისართა ყრილობა.

მოსკოვი. 24 ივლისი. ჯანმრთელობის სახალხო კომისართა ყრილობაზე, აღნიშნული იყო საკურორტო საქმეთა ს. ს. რ. კავშირის მთავარ საკურორტო სამმართველოში გაერთიანების აუცილებლობა.

ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად ფინანსიური კრიზისისა, განსაკუთრებით სოფლათ, სამკურნალო ქსელი პირველი ივლისისათვის მაინც აღემატებოდა ომამდე არსებულს. შემცირდა ფსიქიურ ავადმყოფთათვის დახმარება, აგრეთვე შემცირდა კბილის საექიმო ამბულატორიების რიცხვი, რაც აიხსნება ჯანმრთელობის ორგანოების ამ საქმისადმი ნაკლები ყურადღებით: მომხსენებელმა გამოსთქვა აზრი ჯანმრთელობის დამცველ დაწესებულებებში ექიმობისათვის რაიმე საფასურის გადახდევინების წინააღმდეგ, ვინაიდან ეს გადასახადი, მთელი თავისი სიმძიმით დააწვებოდა მუშებს. აღნიშნა რა დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენაში მიღწეული დიდი წარმატება, მომხსენებელმა მიუთითა ავადმყოფობათა გავრცელების წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღების გაფართოების საჭიროებაზე.

საკავშირო სახ. მ. უ. საბჭოში.

მოსკოვი. 24 ივლისი. სახ. მეურნეობის უ. ს. პრეზიდიუმმა, შეიმუშავა ს. მ. უ. ს. დებულება, გაერთიანებულ სახალხო კომისარიატების საფუძველზე, რომელიც ხელმძღვანელობს ს. ს. რ. კავშირის წარმოებას და სახელმწიფო ვაჭრობას.

სინდიკატები.

მოსკოვი. 24 ივლისი. ს. მ. უ. საბჭომ დაადგინა, რომ სინდიკატები უნდა მოეწყოს ნებაყოფლობით, კერძო სამეურნეო ტიპის ორგანიზაციების დაგვარათ. სინდიკატები არ არიან მონოპოლისტები, დასაშვებია რამდენიმე სინდიკატის არსებობა მრეწველობის ერთ და იმავე დარგში. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნებართვით დასაშვებია სინდიკატებში კერძო კაპიტალის მონაწილეობა.

რუსეთი.

ამხ. ვოროვსკის მოკვლის გარშემო.

მოსკოვი. 23 ივლისი. შვეიცარიაში მიემგზავრება მოსკოვის ვექილთა კოლეგიის წევრი ამხ ჩლენოვი, რომელიც გამოვა სამოქალაქო მაძიებლად ამხ. ვოროვსკის მკვლელ კონრადის პროცესის დროს.

გერმანიისათვის პურის დამზადება.

მოსკოვი. 24 ივლისი. საბჭოთა რ. ს. ფ. ს. რ. სავაჭრო წარმომადგენლობამ ბერლინში, ხელშეკრულება დასდო გერმანიის საიმპერიო პურის მომმარაგებელ ბიუროსთან გერმანიისათვის 20.000.000 ფუთი ხორბალის დამზადებაზე. ამ ხელშეკრულებას აღიარებენ, როგორც გერმანია - რუსეთის დაახლოების ახალ ფაქტს.

სრ. რუსეთის პროფკ. ცენტრ. საბჭოს პლენუმის სხდომა.

მოსკოვი. 24 ივლისი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმი მოწვეული იქნება 25 სექტემბერს.

მადლობა ნანსენის ორგანიზაციებს.

მოსკოვი. 24 ივლისი. სახალხო კომისართა საბჭომ საგანგებო დადგენილებით უღრმესი მადლობა გამოუცხადა ნანსენსა და მისი ორგანიზაციის წევრებს, იმ თავგანწირულ მოღვაწეობის გამო, რომელიც მათ გამოიჩინეს საბჭოთა რესპუბლიკების დამშეულთა დახმარების საქმეში და შიმშილობის შედეგებთან ბრძოლაში. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში ნათქვამია: — **„ნანსენის მიერ საბჭოთა რესპუბლიკების დამშეულთათვის გაწეული დახმარება სამუდამოთ დარჩება ს. ს. რ. კ. ერების ხსოვნაში.**

შიმშილიანობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომიტეტი.

მოსკოვი, 24 ივლისი. შიმშილიანობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე აღნიშნული იყო, რომ სასოფლო მეურნეობის იარაღები და მანქანები, ადგილობრივ ვერ ნაწილდება დამაკმაყოფილებლად, რადგან ბევრგან მეტად შემცირებულა გლეხობის გადახდის უნარიანობა. შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრმა დაადგინა ფართოდ გააცნოს მოსახლეობას, რომ მანქანები მათ ეთმობათ შეღავათიან ფასებში 30 პროცენტის დაკლებით, როგორც ხელმოკლე გლეხებს, ისე კოლექტიურ მეურნეობებს და კოლექტივებს.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მადლობა გამოუცხადოს პროფკავშირებში გაერთიანებულ პროლეტარიატს იმ შეწირულობათათვის, რომელიც მან გაიღო დამშეულთა სასარგებლოდ და სიმშილის შედეგებთან ბრძოლისათვის.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა საბჭოთა რესპუბლიკის პროლეტარულ მასსებს გააცნოს „საერთაშორისო მუშათა დახმარების კომიტეტის" მოღვაწეობა და მოუწოდოს მას ამ კომიტეტის მიერ გამოშვებულ საერთაშორისო სესხის აქციების შესაძენად.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ამხ. შაუმიანის სახელობის კლუბი.

ბათომი. 24 ივლისი. მეტყავეთა კავშირმა ბათომში ყოფილ სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიაში გახსნა ამხ. შაუმიანის სახელობის კლუბი.

ნავთსადგურში.

ბათომი. 24 ივლისი. ამერიკიდან მოსულმა ნორვეგიის გემმა „კონრად მერ"-მა რიგისა და რეველისათვის წაიღო 300.000 ფუთი ნავთი. იტალიის გემმა „მარტა"-მ მოიტანა 35 ტონი სხვა და სხვა ტვირთი. გემმა „კერჩ"-მა ოდესაში წაიყვანა 330 მგზავრი და წაიღო 1.133 ფუთი სხვა და სხვა ტვირთი.

ამხ. პევცოვის დანიშვნა.

ბათომი. 24 ივლისი. ბათომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების ყოფილი გამგე ამხ. პევცოვი დაინიშნა აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს ბათომის კონტორის გამგეთ ამხ. პევცოვის კანდიდატურა წამოყენებული იყო ბათომის მელითონეთა კავშირის მიერ.

ეპიდემია არ არის.

ბათომი. 24 ივლისი. ზაფხულის გასულ თვეების განმავლობაში ბათომში შემჩნეული არ ჰყოფილა გადამდებ სენით ავათ გახდომა. ეს აიხსნება უმთავრესათ ბათომიდან ლტოლვილების გადასახლებით.

ჰაეროდრომი.

ბათომი. 24 ივლისი. ახლო ხანში დაიწყება ბათომის ჰაეროდრომის აშენება. ჰაეროდრომთან შეერთებული იქნება ახალი იპოდრომი. მის აშენებაში მონაწილეობას მიიღებენ სახალხო კომისართა საბჭო, კომუნალური მეურნეობის განყოფილება და, ალბათ, კომპანია „იუნკერს"-ი.

ვოლგის მხარის ბავშვების გაგზავნა.

ბათომი. 24 ივლისი. ახლო მომავალში გაგზავნილი იქნებიან სამშობლოში ვოლგის მხარის ბავშვები. ევაკუაციისათვის საჭირო თანხა 11 მილიარდი მანეთი გამოგზავნილი იქნება ცენტრიდან.

სასამართლოს რეორგანიზაცია.

ბათომი. 24 ივლ. აჭარის იუსტიციის სახალხო კომისარიატი შეუდგა აჭარის სასამართლოების რეორგანიზაციას, ამ დღეებში დაარსებული იქნება ბათომში საოლქო სასამართლო და მეორე ინსტანცია—უმაღლესი სასამართლო.

აზერბეიჯანი

სპარსელი ვაჭრები ნიჟნი—ნოვგოროდის ბაზრობაზე.

ბაქო. 24 ივლისი. ბაზრობაზე მონაწილეობის მისაღებად სპარსეთის ვაჭრების დამხმარე სამეული ენერგიულ ზომებს იღებს, რომ ბაზრობაზე საქონლის გადაგზავნა შეღავათიან პირობებში ხდებოდეს.

ელექტროფიკაცია.

ნუხა. 24 ივლისი. ნუხაში ელექტრონის განათების მოსაწყობად დაარსებულმა საზოგადოებამ „კომუნა"-მ გამოსცა აქციები 5000 მანეთისა ოქროთი. აქციების გაყიდვა წარმატებით მიდის, აზერბეიჯანის მეაბრეშუმეობის კომიტეტმა 10 ფუთი აბრეშუმი შესწირა „კომუნა"-ს ამხანაგობას.

უპარტიოთა კონფერენცია.

ზაქათალა. 24 ივლისი. ზაქათალაში მე-6 უპარტიო კონფერენციამ აამუშავა ელექტრო-სადგური.

სომხეთი

კურსები მუშა-კორესპონდენტებისათვის.

ერევანი. 23 ივლისი. იხსნება ჟურნალისტიკის კურსები მუშა-კორესპონდენტებისათვის. ლექტორებად მოწვეულნი არიან პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები. მეცადინეობა დაიწყება აგვისტოს პირველ რიცხვებში. კურსი სამკვირეულია. იმავე დროს დაიწყება მუშა-კორესპონდენტთა კვირეულიც.

„სპარტაკი".

ერევანი. 23 ივლისი. კვირას დიდის ზეიმით გაიხსნება „სპარტაკის" საზოგადოების დაარსების დღე. სპარტაკის ჯგუფში 150 მონაწილეა. ეს ჯგუფი დაარსებულია ერევნის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ორგანიზაციასთან.

საფოსტო კანტორა.

მეგრი. 23 ივლისი. მეგრში არსდება საფოსტო კანტორა, რომლის შენახვის ხარჯსაც კისრულობს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი.

ტრანსპორტის მუშათა კონფერენცია.

გუმბრი. 24 ივლისი. გაიხსნა ადგილობრივ ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია, გამგეობის მოქმედება დამაკმაყოფილებლად იცნეს. გამგეობა წინადადება მისცა მომავალი წლის 1 იანვრამდე ლიკვიდაცია მოახდინონ წერა-კითხვის უცოდინარობისა კავშირის წევრთა შორის. კონფერენციამ დაადგინა, მიმართოს კავშირის ყველა წევრებს, ჩაეწერონ კოოპერატივში.

საქართველოს კომუნ. პარტ. ტფ. კომიტეტი წინადადებას აძლევს 27 ივლისს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვან 1) ადგილკომებისა და საქარხნო კომიტეტთა ფრაქციის მიერ ანგარიშის წარდგენა უჯრედებისათვის და 2) საჰაერო ფლოტის კვირეული.

ამ საკითხის შესახებ თეზისები გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის", 11 ივლისის №-ში.

უჯრედების პასუხისმგებელ ხელმძღვანელებისა და მდივნებისათვის და უჯრედების მიერ მოხსენებისათვის გამოყოფილ ამხანაგებისათვის გაიმართება საინსტრუქტორო მოხსენება.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

საქართველ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), **რუსთველის პროსპ. № 26. ტელეფ № 5—48.**

აგვისტოს თვეში გაზეთ „კომუნისტ"-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	2.000.000 მან.
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	1.500.000 „
ერთი ეგზემპლიარი	100.000 „
იქვე მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ"-ზე. თვიური ფასი შინ მიტანით	500.000 „

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 აგვისტომდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება.

8—2

პარტიული ცხოვრება

სოფელი შინდისი (გორის მაზრა)

1923 წ. 23 ივლისს სოფელ შინდისში მოხდა კრება, რომელსაც დაესწრენ თბილისიდან ჩამოსული ამხანაგები გიგა თარხანოვი და ვასილი ჩივიჩელოვი. კრებაზე მონაწილეობას იღებდენ შინდისის კომუჯრედის და კომკავშირის წევრები და თანამგრძნობნი. ამხ. გიგა თარხანოვმა გააშუქა შეფობის მნიშვნელობა; ს. შინდისის შეფობა უკისრნია ქ. თბილისის ცენტრალურ საფაბრიკო - საქარხნო მოწაფეთა სკოლას. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა ამხ. თარხანოვმა. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ამხ. თარხანოვის მოხსენება და გავეცანით რა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიუღია საფაბრიკო-საქარხნო სკოლას ს. შინდისის თავის მზრუნველობის ქვეშ აყვანის შესახებ, სალამს უგზავნის ამ საქმის დამსწრეებთ, უსურვებს მათ ნაყოფიერ მუშაობას ქალაქის და სოფლის კავშირის განმტკიცების საქმეში.

გაუმარჯოს სოფლის და ქალაქის მშრომელთა დაახლოვებას და მათ ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის ერთად ერთ მხსნელ კომუნისტურ პარტიას და მის ბელად ამხ. ლენინს!

მომავალი კვირისთვის (29 ივლისი) მოწვეულია ამ რაიონის ათი სოფლის კრება, სადაც თბილისელი ამხანაგებიც დაესწრებიან.

მ. მაზმიშვილი.

ქ. ჭიათურა.

5 ივლისს, ხუთშაბათს ქ. ჭიათურაში პროლეკტორის დარბაზში შესდგა ჭიათურის ორგანიზაციის საერთო პარტიული კრება.

მოხსენების შემდეგ ამხ. ფ. ლაბაძე—სამაზრო შრომის განყოფილების მუშაობის შესახებ, რომელიც კრების მიერ ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად, სიტყვა ეძლევა შორაპნის სამალმასკომის საშეფო ნაწილის წარმომადგენელს ამხ. გამორინს. ამხ გამორინი მხურვალედ მიესალმა ჭიათურის ორგანიზაციას და მოკლედ აღნიშნა წითელი არმიის მედგარი და თავდადებული ბრძოლა, რომელსაც ის ეწეოდა ოთხი წლის განმავლობაში და ის ცუდი და აუტანელი პირობები, რომელშიაც უხდებოდა მას ბრძოლა მუშურ გლეხურ ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა შორაპნის სამალმასკომის მატერიალური დახმარება, რომლის საშვალებითაც საშეფო ნაწილმა შესძლო წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაცია პირველ მაისისათვის.

სამალმასკომის საშეფო ნაწილის წარმომადგენელმა, გადაუხადა რა მხურვალე მადლობა ჭიათურის მუშურ ორგანიზაციას, სთხოვა, რომ ამ უკანასკნელს არ მოეკლო საშეფო ნაწილისათვის აგრეთვე სულიერი ხელმძღვანელობა, ვინაიდან წითელ არმიას ეჭირვება თბილი და ამხანაგური მოპყრობა მუშურ-გლეხურ ორგანიზაციებიდან.

ამის შემდეგ სამპარტკომის პ. მ. მდივანი საერთო პარტიულ კრების დავალებით მიესალმა საშეფო ნაწილს და დაავალა მის წარმომადგენელს გადაეცა ეს დანიშნულებისამებრ.

ჭიათურის ორგანიზაცია მხურვალე სიტყვებით ესალმება შორაპნის სამალმასკომის საშეფო ნაწილს და უსურვებს მას მომავალში მედგარ, შეუპოვარ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დაცვისათვის და დასავლეთ ევროპის მუშების განთავისუფლებას კაპიტალისტურ მონობისაგან.

საშეფო ნაწილის წარმომადგენელმა, ღრმა მადლობა გადაუხადა რა ჭიათურის ორგანიზაციას, დაპირდა სიტყვა-სიტყვით გადასცეს უკანასკნელის მისალმება საშეფო ნაწილს.

ია.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(25 ივლისი).

ჩერვონცები	18,300
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.	1850
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	17,400
ჩეკები	15,000
დოლარი ეფექტ.	3,550
ჩეკები	3,150
ოსმალ. ქაღალ. ლირა.	2,640
იტალიური ლირა	130
ფრანგული ფრანკი	195
საბჭ. ფულ. ნიშ.	18,75

მუშკოოპის ფასები.

(24 ივლისი).

შაქარი რაფინადი—800 ათ., შაქრის ფხვნილი—650, პური 2 ხარის.—45 ათ., ფქვილი თეთრი—110 ათ., ყველი თუშური 480 ათ., კარაქი პრეს. 1 მილ., ერბო—700 ათ., საპონი როსტოვის 360 ათ., საპონი „ტოლლე" 450 ათ., ქართოფილი—35 ათ., ლობიო წითელი—20 ათ., ლობიო მწვანე—65 ათ., ჰარხალი 40 ათ., პამიდორი—150 ათ., ქვა-მარილი—80 ათ., ზეთი—280 ათ., ხორცი ძროხის—375 ათასი.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(25 ივლისი)

ნატეხი შაქარი—900, ფხვნილი შაქარი—680-700, პური 1 ხარ.—100—120 ათასი., ფქვილი თეთრი გირ.—120 ათასი; ერბო—700—800., კარაქი 700—800 ათ. თუშური ყველი—450-500, სამარხვო ზეთი—400, წითელი ლობიო—40—50 ათ., მწვანე ლობიო—70—100., ჰარხალი—70., ბადრიჯანი ცალი—25-60., კვერცხი 10 ც.—450—500 ათასი. ხორცი ძროხის—300—350; ცხვრის ხორცი—400-450 ათ..

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(25 ივლისი).

საპონი სარეცხის, რკინეულობა, შაქრის ფხვნილი, სოდა, მარილი ბაქოს და კულინის მარცვლოვანი, ხორბალი და პურის პროდუქტები, მინა ფანჯრ. ლურსმანი სამშენებლო, წუმწუმა რუს., ფართალი რუსული, ტყავეულობის სინდიკატის პროდუქცია, ცემენტი ნოვოროსსიისკის, ქაღალდი და კარდონი, მაკარონი და ვერმიშელი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(25 ივლისი).

ფქვილი მაღალი და 1 ხარისხის, თივის პრესი, ცემენტი პორტლან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში

24 ივლისს გაიმართა ამიერ-კავკა- ის საჰაერო ფლოტის მეგობართა ზოგადოების პირველი საორგანი- ციო კრება.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ოროვი, რომელმაც გააკეთა მოხსე- ბა საბჭ. სოც. რესპ. კავშირში ჰაერო ფლოტის მდგომარეობის და ჰაერო ფლოტის მეგობართა საზო- დოების შესახებ.

მოხსენების შემდეგ კავკ. ცალკე არმიის საჰაერო ფლოტის უფროსმა ამხ. შუშკოვმა გამოაქვეყნა საჰაერო ფლოტის მეგობართა მოსკოვის საზოგადოების წესდება, რის შემდეგ პოლიტიკურ განყოფილების უფროსმა ამხ. ვრაჩევმა შეიტანა წინადადება ამიერ-კავკასიაში შემდეგი მუშაობის საწარმოებლად საორგანიზაციო კომიტეტის არჩევის შესახებ. კომიტეტი არჩეულ იქნა 25 წევრის და 15 კანდიდატის შემადგენლობით.

ის, ტყავი—ნედლი, ყველი შვეი- არული, მავთული, თუნუქი თეთრი ნგლ. შაბიამანი ინგლ. სკიპიდარი, ამარილი ნახიჩევანის და ბახმუტის, ომრები, ჩაი ცეილონის, კართო- ლის ფქვილი, მაკარონი და ვერმი- ლი 1 ხარისხ. გოგირდი „ბუდა", რბალი ყუბანის და ადგილობრივი მბის ზეთი.

ქართველოს სახ. მეურ. უმაღ. ბჭოს სათბობის განყოფილებაში.

(ივნისის მოღვაწეობის მიმოხილვა).

სათბობი განყოფილების განკარ- ლებაში საანგარიშო თვეში იყო ნავთის საწყობი, ერთი მაგარი სათ- ბობის საწყობი ტფილისში და 5 ნყოფილება პროვინციებში.

ამას გარდა განყოფილების გან- რგულებაში იყო ტყვიბულის ქვა- ხშირის მაღაროები. საანგარიშო ვეში ირიცხებოდა მუშა-მოსამსახუ- : ტყიბულის მაღაროებში—619 ცი, დანარჩენებში (სამმართველო- და სამდივნოსთან ერთად)— ფილისში—98 კაცი, პროვინციაში 74 კაცი.

საანგარიშო თვეში ნავთის პრო- ქტების რეალიზაციის საქმე შემ- გს სურათს იძლევა: 1 ივლისისათ- ს დარჩენილი იყო ნავთის ნაწარ- ები (მაზუთი, მსუბუქი ნავთი, ბენ- ნი, საპოხი ზეთი და გუდრონი) ,814 ფუთი. თვის განმავლობაში ღებული იყო სულ 54,267 ფუთი მთელი მარაგი განაწილდა სასოფ. ურნ. უმაღლ. საბჭოს დაწესებულე- თა სამეურნეო საჭიროებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ რმოებათა და კერძო პირთა ცემულ ნავთის ნაწარმოებიდან ფილისზე გაიცა 47.579 ფუთი, ოვინციაზე 43 395 ფუთი. ამგვა- ად ნავთის წარმოებათა უმთავრეს მხმარებლად გამოდის ქ. ტფილისი. ავე დროს ტფილისში არსებულ ხელმწიფო დაწესებულებებზე გა- ემულია 25,283 ფ. ხოლო კერძო რებზე—11,779 ფ.

ივნისის 1—სათვის ქვა-ნახშირის რაგი უდრიდა 79,535 ფუთს. ივ- ისის განმავლობაში დამუშავდა 7,800 ფუთი, სულ ივნისის თვეში ნყოფილების განკარგულებაში იყო 7,335 ფუთი ქვა-ნახშირი.

ამ რაოდენობიდან, ივნისის განმავ- ობაში გაცემულია დაწესებულე- ბზე და გაყიდულია: სათბობის ნყოფილების საკუთარი საჭი- როებისათვის 16,600 ფუთი რკი- ს გზას და სათბობის განყოფი- ების აჭარისტანის განყოფილებას ეცა 16.914 ფუთი, საკუთარ სამ- წველოებს—696 ფ., სახელმწიფო საზოგადო ორგანიზაციებს— .626 ფ., კერძო პირებს—2333 ფ ულ 107.169 ფუთი.

ქართველოს სახ. მეურ. უმაღ. ბჭოს საამშენებლო განყოფილებაში.

ივნისის მოღვაწეობის მიმოხილვა).

საამშენებლო განყოფილების გამ- ვლობაში საანგარიშო თვეს იმყო- ბოდა: აგურისა და კრამიტის ქარ- ნა ქსანკას სადგურზე, ორი კირის რხანა (ქუთაისსა და მოლითში), 3 რხანა ტფილისში, ცარცის ქარ- ნა და ხეტყის სახერხი ქარხ. (იჯარით გაცემული). ყველა აღნიშნულ ქარხნებიდან ივნისის განმავლობაში მუშაობდა ერთი კრამიტისა და აგურის ქარხანა, დანარჩენები კი უსახსრობის გამო გაჩერებული იყვნენ.

ივნისის დამლევისათვის ყველა დაწესებულებებში (ცენტრალურ სამმართველოსთან ერთად) იყო მუშა 92. არამწარმოებელი მუშა 12 და მოსამსახურე 12. ივნისში მიეცა ხელფასი. მუშებს—1.399 საქონლის მანეთი, მოსამსახურეს—254 საქონლის მანათი.

საანგარიშო თვეში კრამიტ-აგურის ქარხანას დაუმზადებია სამი ხარისხის კრამიტი სულ 55101 ცალი და სხვა ნაწარმოები 950 ცალი. წარმოებითი გეგმით კი ნავარაუდევი იყო 80,000 ცალი. მიზეზი გეგმის შეუსრულებლობისა იყო ალმშენებლობის უქონლობა, მაღალი გადასახადი გადაზიდვაზე, და საჭირო საბრუნავი თანხის უქონლობა.

საამშენებლო განყოფილება დიდს იმედებს ამყარებდა აზერბეიჯანის ნავთის წარმოების სამმართველოს შეკვეთაზე. სამმართველო საჭიროებდა 600.000 ც. კრამიტს.

ამ შეკვეთის შესრულება სამი თვის ვადით არის განსაზღვრული 1923 წლის 25 ივნისიდან. თითო კრამიტის ფასი განსაზღვრულია 9,9 კაპ. ჩერვონცით ფრანკო ვაგონი ბაქოს სადგურზე. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველო კუთვნილ თანხას გადაიხდის ათი თვის განმავლობაში. ივნისის განმავლობაში გაგზავნილია ბაქოში 120,360 ცალი კრამიტი.

ქარხანაში დიდძალი კირია დამზადებული. ამ კირის გასაღების და საბრუნავი თანხის გადიდების მიზნით განყოფილებამ კირზე ფასი დასწია და 1 ხარისხისაზე დააწესა ფუთზე 55 კ., მე-2 ხარისხისაზე კი 17 კაპ.

საქართველოს სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს ტყავის განყოფილებაში.

(ივნისის მოქმედების მიმოხილვა)

ივნისის განმავლობაში, საბჭოს განკარგულებაში მყოფ დაწესებულებებიდან, მუშაობდა მხოლოდ ტყავის ქარხანა № 1, ფეხსაცმელის ქარხანა, ელექტრო-სადგური, კაუჩუკის ქარხანა № 3 და ქალის ფეხსაცმელების სახელოსნო. საანგარიშო თვეში არ უმუშავნია ნაბდის სათელ ქარხანას და ნაწილობრივ მატყლის სარეცხ განყოფილებას. ყველა ზემოხსენებულ სამრეწველოებში საანგარიშო თვეს იყო 324 მუშა, ამათგან 257 მწარმოებელი მუშა, 43 შავი მუშა, 24 მოსამსახურე. ერთი მუშის საშუალო ხელფასი უდრიდა 16 მან. 56 კაპ. 6 მანეთს ჩერვონცით. მოსამსახურისა—25 მან. 50 კ. ივნისის ხელფასი დაუბრკოლებლად გასტუმრებულია კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით.

ტყავის ქარხანა № 1 და 3, ფეხსაცმელის ქარხნის და ელექტროსადგურის შემოსავალი საანგარიშო თვეში უდრის—72,089 მან. 43 კ. ჩერვონეცით, მაისში კი მათი შემოსავალი უდრიდა 74 492 მან. 25 კ. ჩერვონეცით.

ეს შემოსავალი წარმოებათა შორის ასე ნაწილდება:

ავის ქარხანა № 1	—	—	30,323 მან.	45 კაპ.	—43 პროცენტი
„ № 3	—	—	9,322 „	17 „	—11 „
ხსაცმელის ქარხ.	—	—	25,197 „	80 „	—35 „
ლექტროსადგური	—	—	7,245 „	80 „	—10,5 „

ამგვარად უდიდესი შემოსავალი ეცია ტყავის ქარხანას № 1 და ხსაცმელის ქარხანას.

№ 1 ქარხანას გამოუშვია 1065 დი და 1796 პატარა ტყავი; ქარ- ნას № 3—363 დიდი ტყავი. ფეხ- მელების ქარხანამ დაამზადა სა- ლაქო ფეხსაცმელი 111 წყვილი, ა—2455 წყვილი, სანდალი 1164 ილი და ბრეზენტის ტუფლი 731 ილი. ამის გარდა სარაჯისა და ნაგირეთა განყოფილებამ დაამზა- 93 ტყავის პორტფელი, 55 ტყა- ტუჩურკა, 200 ქამარი და სხვა ილმანი ნივთები.

ვნისის განმავლობაში ტყავის წველობის მთავარ კომიტეტს დნია 1734 ცალი მსხვილ ფეხა ნლის ტყავი 10,950 მან. (ჩერვ.) ბული. ივნისში შეუძენიათ 1000 ი მუხის ქერქი, და 860 ფუთი ტრაქტი. 1 ივლისისათვის ქარხ- ში მომარაგებული იყო 13200 ი მუხის ქერქი, 1910 ფ. ექს- ტი.

ნგარიშო თვეში ვაჭრობაც ატებით მიდიოდა. თითქმის ლი გამოშვებული ფეხსაცმელი ნვე სოლდება.

ყავის წარმოების მთავარი კომიტეტი ფხიზლად ადევნებს თვალყურს ნაწარმოების თვითღირებულებას და ყოველ თვე ადგენს კალკულიაციას. აგრეთვე თვალყურს ადევნებდა მუდმივ ცვალებადობაში მყოფ ვალიუტის კურსს.

წარმატებით მიდის საქმე ნედლი მასალის დამზადებისა ალბულაღში, საგარეჯოში და იორ-მუღანლოს რაიონში, სადაც აგროვებენ მუხის ქერქს, რომელიც მთელი სეზონისათვის საკმარისი იქნება.

ტყავის განყოფილების წარმოების გასაფართოვებლად საჭირო არის თვეში 3,000 ცალი ტყავის დამუშავება. ტფილისის ბაზარი კი იძლევა მხოლოდ 2500 ტყავს. ამ რაოდენობაში 20—25 პროც. კამეჩის ტყავია, რომელიც ნაკლებად არის გამოსადეგი ქარხნის ნაწარმოებისათვის. ივლისის გასულიდან განზრახულია ტყავეულობის შეძენა ჩრდილო კავკასიაში. ამ სახით ტყავის სამრეწვ. კომიტეტს ზამთრისათვის დიდძალი მასალა ექნება საპირე ტყავის დასამზადებლად.

ამ მოკლე ხანში შესაძლებელი გახდება ელექტრო-სადგურის მოქმედების გაფართოება.

ართველო მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

რთველოს შინამრეწველობის გამოფენა მუშტაიდში.

ა წლის 23 ივლისს მუშტაიდის ში შინა მრეწველობის და სა- მუზეუმო სადგურის ბინაზე ადგი- რივ დაინტერესებულ მუშებისა სხვა მოქალაქეთა დასათვალიე- ლად გამოფენილ იქნა მოსკოვში გზავნი შინამრეწველობისა და მეფუტკრეობა-მეაბრეშუმეობის ექსპონატები.

შინამრეწველობა.

საქართველოს შინამრეწველობა მრავალფეროვანია, რაც საქართველოს ბუნების სიმდიდრით და სხვა და სხვაობით აიხსნება. გამოფენაზე საქ. შინამრეწველობა საკმარისად ვერ არის წარდგენილი, მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ვერ მოხერხდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შინა მრეწველობის ნაწარმოებთა დაგროვება. გამოფენაზე როგორც ერთი მთლიანი ორგანიზაცია, გამოდის მხოლოდ მიწადმოქმედების შინა მრეწველობის ქვე-განყოფილება, რომლის სახელოსნოების მიერ დამზადებული ნიმუშები განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევენ. მომხიბვლელ შთაბეჭდილებას სტოვებენ ხარფუხის სახელოსნოში დამზადებული ნოხები, რომელთაგან ორი ქართული სტილით არის შესრულებული; ნოხების მოხატულობა და ორნამენტები გადაღებულია საქართველოს ძველი მონასტრების ჩუქურთმებისა, კედლების ორნამენტებისა და აგრეთვე ძველ ხელთნაწერებიდან. ტონები ოდნავ ნათელი და მელანქოლიურია და წარმოადგენს სრულ თავისებურებას, იგი განირჩევა წმინდა აღმოსავლური სპარსული ნოხისაგან, რომლის ერთი ნიმუშიც დიდის ხელოვნებით და მრავალფეროვნებით არის შესრულებული იმავე სახელოსნოში. ქართული ნოხების კომპოზიცია ეკუთვნის ცნობილ მხატვარს სტრაუმეს.

იმავე ქართულ სტილზე არის ნაქსოვი არშიები, რომლის მხატვრული ღირებულება სპეციალისტების თქმით სჯობია რუსულ ღ ევროპიულ არშიების მხატვრობას. მას დიდი მომავალი აქვს ევროპის ბაზარზე. დიდის დაკვირებით და გემოვნებით არი ნაქარგი აგრეთვე სტოლსაფრები, თავსაფრები, ხელსახოცები და სხვა. ექსპონატი შორის არის აგრეთვე ქართული დიდებულად ნაქარგი ძველი თავსაკრავები. მაგრამ ყველაზე მშვენიერია მხატვარ სტრაუმეს მიერ ფერადებით გადმოღებული საქართველოს ხუროთმოძღვრების და საეკლესიო კედლის მხატვრობის დიდი კოლლექცია. აქ მნახველი დიდ ესთეტიურ სიამოვნების მიღებასთან ერთად, ეცნობა ქართველი ერის წარსულ კულტურულ შემოქმედებას მხატვრობისა და ხუროთმოძღვრების სფეროში.

შინ დამზადებულ შალეულობაში აღსანიშნავია ოსური შალები, რომლებიც ფაბრიკატებს მოგვაგონებს. შემდეგ ყურადღებას იპყრობს კერამიკული ხელოვნების ნიმუშები. აქ ნახავთ საქართველოში სახმარ ყოველგვარ ჭურჭელს. გამოფენილი იყო აგრეთვე კალათები, გიდლები და სხვა წნულები საქ. ყოველი კუთხიდან. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე ის ტეხნიკური საშუალებანი, რომლითაც სარგებლობენ ტფილისის სახელოსნოები და ჩვენებური შინა მრეწველნი. ამ მხრივ აღსანიშნავია მაუდის ქიმიური საღებავები, რომელნიც ადგილობრივ არიან დამზადებული და ღირსებით უცხოეთისას არ ჩამოუვარდება.

კარტოგრამები და დიოგრამები ნაკლებათ არის, რაც გამოფენის ნაკლად არ ჩაითვლება. მშვენიერია მხატვარ სტრაუმესგან შედგენილი საქართველოს რუკა, რომელზედაც დახატულია შინამრეწველობაში დამზადებული იარაღები და სახმარი ნივთები სწორედ იმ კუთხის ფარგლებში, სადაც ისინი მზადდება და იხმარება. ეს რუკა მონაგრამებით იძლევა ცნობებს, როგორც საქართველოს შინამრეწველობის ხასიათის შესახებ, ისე მისი გავრცელებისაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ მოსკოვის გამოფენაზე საქართველოს პავილიონში ეს განყოფილება დიდი ინტერესის აღმძვრელი იქნება.

სახალხო სასურსათო კომისარიატში

საულუფო პურის ღირებულება. სახალხო სასურსათო კომისარიატმა აცნობა ყველა დაწესებულებას და წარმოებას, რომელთაც ივლისის პურის ულუფა მიიღეს, რომ მუშა-მოსამსახურეებს სამუშაო ხელფასიდან ულუფის საფასური შემდეგის ანგარიშით უნდა დაუჭირონ თბილისსა და თბილისის მაზრაში:

ერთი ფ ყუბ. ფქვ. ღირს	1.225.000 მ.
„ ადგილობ. „	1.155.000 „
„სურჟა" „	1.155.000 „
„ ყუბ. ხორბ. „	1.050.000 „
„ ადგილობ. „	980.000 მ.

საკლავ საქონლის რეალიზაცია. სახალხო სასურსათო კომისარიატმა წინადადება მისცა სიღნაღის სამაზრო სასურსათო კომისარს, რათა ადგილობრივად მოახდინოს რეალიზაცია 120 სული ცხვარისა და 10 სული მსხვილ-ფეხა საკლავ საქონლისა, რომელიც მიღებულია წარსული წლის ნატურალურ გადასახადის ანგარიშში.

სატრანსპორტო ეზოს შტატი. სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაამტკიცა სატრანსპორტო ეზოს ახალი შტატი, რომლითაც ამ ეზოს მოსამსახურეთა რიცხვი 60 კაცით არის განსაზღვრული.

სამაზრო სასურკომების შტატის შემცირება. სახალხო სასურსათო კომისარიატმა სამაზრო სასურსათო კომისრებს სასწრაფოდ აცნობა ახალი მტკიცე შტატი და წინადადება მისცა, რათა აგვისტოს პირველიდან აუცილებლად მოახდინონ მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება თანახმად ამ შტატისა.

სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებთა დამზადება. სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა სათანადო საკრედიტო დაწესებულებათა წინაშე, რათა ამ კომისარიატის საკომერციო განყოფილებას სესხი მიეცეს სასოფლო-მეურნეობის სხვა და სხვა ნაწარმოების დასამზადებლად. უმთავრესად განზრახულია ბამბისა, თხილისა და ჯაგარის დამზადება.

თევზეულის საწყობი საბურთალოზე. სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაადგინა, საფუძვლიანად შეაკეთოს საბურთალოზე მდებარე თავისი თევზეულის საწყობი, რისთვისაც საკმაო ფული გადასდო საკომერციო თანხებიდან.

სასოფლო მეურნეობა

როგორ უნდა აღვადგინოთ ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახები კახეთში.

კახეთი საუკეთესო რაიონია მევენახეობისა და მეღვინეობისათვის; აქაური ჰავა, მიწა-წყალი, ვაზის ჯიშები მაღალი ხარისხის ღვინოს იძლევა და კახეთის სიმდიდრე ღვინის მოსავალშია.

კახეთი ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი კუთხეა; კახეთის ღვინო ქებულია არა მარტო ჩვენში, არამედ უცხო ბაზარზედაც.

მთელად კახეთში ვენახების სივრცე ოცი ათას დესეტინას უდრის; იქაური საფერავი, რქა-წითელი, მწვანე, მჭკნარა და სხვა ადგილობრივი ვაზის ჯიშები საუკეთესონი არიან;

კახეთის ვაზის ჯიშები მაღალი ღირსებით შეედრება და არ ჩამოუვარდება უპირველეს ვაზის ჯიშებს საუკეთესო მევენახეობის ქვეყნებისას.

კახეთი მევენახეობის მარგალიტია ჩვენში; ის ცნობილია მსოფლიოში როგორც კლასიკური ღვინოების წარმოების ქვეყანა.

ისეთი მევენახეობის რაიონები, როგორიც არის კახეთი, ქვეყანაზე ბევრი არ არის და მათი რიცხვი თითებზე ჩამოითვლება;

კახეთში ისეთი ღვინოები დაყენდება, როგორსაც აყენებენ მაგ. ბორდოში, ბურგუნდიაში და სხვა ქებულ მევენახეობის ქვეყნებში. მსოფლიოში პირველ მევენახეობის რაიონებათ ცნობილია ბორდო (მედოკი, გრავი, სოტერნი) და ბურგუნდია (შაბლი, კოტ-დორი); ჩვენი კახეთი მათზე ნაკლები არ არის.

ხსენებული მევენახეობის რაიონების მცხოვრებლები მაღალი ხარისხ. ღვინის შემოსავალით გამდიდრებული არიან; მსოფლიო ბაზარი ეძებს მათ ღვინოებს.

მით უფრო გვმართებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ კახეთს.

კახეთი გადაფარებულია ვენახებით; ამ მხარეს წინანდელი მეფეებიც აქცევდენ ყურადღებას და იშენებდენ ვრცელ ზვრებს. ბევრი იყო მემამულე, რომელთაც დიდი ზვრები ქონდათ.

კახეთი თავადების ქვეყანა იყო; მათ ქონდათ ფართე და გლეხობას პატარ-პატარა დაქუც-მაცებული ვენახები; აქაური საუფლისწულო მამულები „წინანდალი, მუკუზანი, ნაფარეული" ვენახებით განთქმული იყო და ღვინის მოსავალი უხვი მოდიოდა.

ამ მამულებს სათავეში უდგენ დიდი მცოდნე სპეციალისტები და მევენახეობა და მეღვინეობა საუცხოვოთ იყო დაყენებული;

მათ მოახდინეს ცდები: დარგეს საუკეთესო ვაზის ჯიშები და შეადარეს ადგილობრივ ვაზის ჯიშებს; მაგრამ ადგილობრივმა ვაზის ჯიშმა აჯობა. ცნობილ ვაზის ჯიშს კაბერნეს (შავია) საფერავმა აჯობა და რისლინგს და სემილიონს (თეთრებია) რქა-წითელმა და მწვანემ.

აქ ააშენეს ღვინის სარდაფები და მოაწყვეს საუკეთესოდ ისე რომ საზღვარ გარეთ ასეთებს ბევრს ვერ შეხვდები.

წინანდლის სარდაფი მუკუზნის და ნაფარეულის მარნები ისეთებია თავის მოწყობილობით, რომ ევროპაში ასეთებს იშვიათად შეხვდები.

დესეტინაზე მოსავალი ხანდახან 700—800 და მეტ ფუთს უდრიდა. ეს მაშინ, როცა მამულებს სათავეში უდგენ მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტები; იქ მუშაობდენ მასონო გოგოლი, განსვენებული ჯაფარიძე, ბაჟბეუკი და თავიდან საქმეს ხელმძღვანელობდა ევროპაში ცნობილი მევენახე და მეღვინე განსვენებული ლ. გალიცინი.

საფერავი და რქა-წითელი ძალიან მსხმოვარე ვაზის ჯიშებია და სწორეთ ეს ვაზები იყო და არის გავრცელებული კახეთში.

როგორც ვიცით, ფილოქსერა მთელ ქვეყანას მოედო და დასავლეთ იმერეთის ვენახებიც გაანადგურა.

ცდილობდენ ეს საშინელი მტერი ვენახისა არ შეპაროდათ კახეთში.

აქ შეუძლებელი არაფერი იყო და საქმის სათავეში მცოდნე და ხალხის მოყვარული კაცი რომ მდგარიყო, კიდეც მოხერხდებოდა; მოხერხდებოდა ისე, როგორც ეს მოხერხდა მაგ. ყირიმში და ორლეანეში;

ამას დიდი ყურადღება უნდა ქონებოდა მიქცეული და ყოველი ზომები უნდა ეხმარათ, რომ კახეთი გადაერჩინათ საშინელ უბედურებას.

მაგრამ რას მოახერხებდენ მოხუცები, რომლებიც მხოლოდ ჯამაგირებზე ფიქრობდენ, სოფელ-ქვეყანას არ იცნობდენ და არც საგანი ქონდათ შესწავლილი.

სამწუხაროდ, ხუთმეტიოდე წლის წინად მცოდნე სპეციალისტები განშორდენ კახეთს და სათავეში საქმეს ჩაუდგა უვიცი კაცი ა. ეგოროვი.

ა. ეგოროვს მევენახეობა და მეღვინეობა არსად არ ქონდა შესწავლილი; მას არ უნახავს სპეციალური სასწავლებლის კარები, ლაბორატორიაში თავის დღეში არ ყოფილა, მაგალითები არ უნახავს, ადგილობრივი ენა და სხვა ენები, გარდა რუსულისა, არ იცის და საიდან შეითვისებდა ღ შეისწავლიდა ამ რთულ საგანს.

მიუხედავათ ამისა, იმას ეყო გამბედაობა ამ დიდ საქმის სათავეში ჩადგომოდა; და სამწუხარო კიდევ ის უფრო იყო რომ რევოლიუციის შემდეგაც ის განაგრძობდა „ინსპექტორობას".

შედეგები „მშვენიერი" იყო: დიდ ზვრებს დაუყენა სათავეში კანცელარიაში ნამუშევარი გადამწერლები (მაგალითად ასეთებია **ნაფარეულის და წინანდლის მევენახეები**), ვენახები გამწირდენ, უკლეს მოსავალს და, რაც საშინელებაა მათ **ფილოქსერა მოედო.**

თორმეტ წელიწადზე მეტია რაც კახეთში მძვინვარებს ფილოქსერა.

საბედნიეროთ, მიწად-მოქმედების კომისარიატმა ამას წინათ „ინსპექტორი" ეგოროვი მოაშორა ვენახების ხელმძღვანელობას, და ეს დიდ სარგებლობას მოუტანს კახეთის ვენახებს

უვიცი ეგოროვი თავისი წერილებით ბრუს უხსამდა მკითხველებს დამისი ჩხირ-კედლაობა ფილოქსერასთან ბრძოლის შესახებ ყოვლად მიუღებელი იყო. მაგალითად, წინანდლის და მუკუზნის ვენახებში რომ გაჩნდებოდა „კალო", ე. ი. ფილოქსერიდან განადგურებული უბანი „ინსპექტორი" ეგოროვი უბრძანებდა მოსამსახურეებს ამ უბანს არ მიკარებოდენ და არ დაემუშავებიათ, **რომ სხვა უბნებში არ გადაეტანათ ფილოქსერა.** ასეთი სისულელე აკვირვებდა მუშებს.

გადატანა რა საჭირო იყო, როცა ვენახებს ერთიანად მოდებული ქონდა ფილოქსერა და განა მარტო მუშას შეუძლია ფილოქსერის გავრცელება?

ყოფილი საუფლისწულო მამულები ახლა სახალხო კუთვნილებას შეადგენს და ვენახების სივრცე 300—400 დესეტინას უდრის.

მამულებში გააკეთებია ამერიკული ვაზის პატარ-პატარა სანერგეები; არ იცოდა სად როგორი შემადგენლობის ნიადაგი იყო, არ იცნობდა ამერიკული ვაზის ჯიშებს და ასე ვარაუდით ჩხირ-კედელაობდა.

რომ გამწყრალიყო ღმერთი და ეგოროვი დარჩენილიყო ვენახების ხელმძღვანელათ, ნეტავი რამდენი წელიწადი დასჭირდებოდა ამ უძლურ პიროვნებას კახეთის ვენახების აღსადგენათ?

ეხლანდელ ხელმძღვანელებს მართებთ დიდი ყურადღება მიაქციონ კახეთის ვენახეობას და ფილოქსერასთან ბრძოლას.

ჩვენ შევეცდებით შემდეგ წერილებში გავაშუქოთ, როგორ შესრულდა სხვაგან ეს დიდი საქმე და როგორ უნდა მოეწყოს კახეთში ფილოქსერასთან ბრძოლა.

ბ. კი.

ვენახების მდგომარეობა კახეთში

ნაგვიანევმა გაზაფხულმა და სუსხიანმა ამინდმა ხელი შეუშალა ვაზების კვირტების სრულს გაშლას და ზოგიერთ გაფოთვლას. ფოთლების ზრდა ნელი იყო და ამიტომ ვენახების წამლობას, რომელიც ჩვეულებრივ შუა მაისში იწყება, 10 დღით დააგვიანდა. პირველსა და მეორე წამლობის დროს ცივი და წვიმიანი დარები იყო ღ ამიტომ ნაცრის მიყრამ იმატა, და საჭირო შეიქნა მესამე წამლობის დაჩქარება და შემდეგ ამას მოჰყვა მეოთხე წამლობაც, რომელსაც ჩვეულებრივ არ ახდენენ და თუ ახდენენ, ისიც შუა ივლისში და არა ამ დროს. ამ გარემოებამ გამოიწვია შაბიაბანის დიდი ხარჯი რამაც მისი ფასი ძალზე ასწია. ძლირმა ქარმა შუა ივნისში, როცა ვენახმა ყვავილი დაყარა და თოთო ყურძნის მარცვლები ოდნავ, შეხებით სცვიოდენ, ძალიან შეამცირა მომავალი მოსავლის რაოდენობა. მტევნებს სანახევროდ მარცვლები დასცვივდა. ნაცარ მიყრილ ვაზებზე კი მთელი ტევნები ხმებოდენ და ძირს სცვივოდენ. მაისის და ივნისის განმავლობაში ვენახებს სეტყვის საფრთხე არ აშორებია, და მართლაც, მთელ კახეთს, უმნიშვნელო გამონაკლისით დიდი სეტყვა ეწვია. მაისში დაზარალდა გურჯაან-კაკაბეთის შუა მდებარე რაიონი, ხოლო ივნისის დასასრულს თელავის მაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფელ რუის-პირიდან სოფ. ვაჩნაძინამდე.

ფილოქსერა მიმდინარე წელში ძალიან გავრცელდა და ამ სენით დაზიანებულმა ვენახის რაოდენობამ შარშანდელთან შედარებით სამჯერ იმატა. ფილოქსერით დაღუპული მრავალი ვენახი სავსებით გაჩეხილია და მის ნაცვლად სიმინდია დათესილი. ძველი ვენახების ახალით შეცვლა ძალიან ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს იმის გამო, რომ არ მოიპოვება სანამყნე მასალა საკმაო რაოდენობით. თუ რთველამდე კიდევ არ იქნა რაიმე სტიქიური უბედურება, უნდა ველოდეთ ნორმალურ დროის მოსავლის სამს მესამედს, რაც განვლილ სტიქიურ უბედურებათა შემდეგ დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ღვინის ფასი შედარებით სხვა საქონელთან, მეტად დაბალია. საუკეთესო ღვინო იყიდება ვედრო სამ მილიონად. არ არის მოთხოვნილება მსხვილ პარტიობით ყიდვა არ სწარმოებს, მოსულნი ყიდულობენ, ზევრი რომ ვსთქვათ, 8 ბოჩკას, უმთავრესად ღვინოს ყიდულობენ წვრილი სპეკულიანტები 7—8 ვედროს თვითეული.

ბამბის ნათესები საქართველოში.

ბამბის თესვა საქართველოში წრეულს უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე აზერბეიჯანსა და სომხეთში. ბამბით დათესილ მინდვრების დათვალიერებამ გამოარკვია, რომ რამოდენიმე დესიატინის გამოკლებით, ბამბის ზრდა ნორმალურად მიმდინარეობს, ხოლო ბორჩალოს მაზრაში ამ ჟამად ბამბის მცენარის ზრდამ 4 ვერშოკს გადააჭარბა.

სულ საქართველოში დაითესა 500 დესეტინამდე. რამდენიც განზრახული იყო მთავარი საბჭოს კომიტეტის მიერ; აქედან 60 დესიატინა დათესილია ბორჩალოს მაზრაში, დანარჩენი 440 დესიატინა ყარაიაზის ველზე, საჭიროა აღინიშნოს, რომ 620 დესიატინა დაითესა სამხედრო სამეურნეო საბჭოს მიერ, ყველა პლანტაცია წყლით უზრუნველყოფილია და 4 დესიატინის გამოკლებით (ეს 4 დესიატინა არ შედის ზემო მოყვანილ დათესილ დესიატინების ჯამში) კალიასაგან ხელუხლებელია, ბამბის პლანტაციები ოთხჯერ იქნა გათოხნილი და გამარგლული და ამ ჟამადაც ბალახბულახის წამოზრდის გამო, სწარმოებს მესამე მარგვლა.

ხელშეკრულების დადების დროს მთესველ გლეხებს მიეცათ სესხი. მთავარმა საბამბო კომიტეტმა, დათვალიერების შემდეგ კიდევ მისცა მეორე სესხი იმ რაოდენობით, როგორც პირველად ყანების გასამარგლად და სხვა საჭიროებისთვის. აღსანიშნავია გლეხების დიდი მისწრაფება, რომელსაც ისინი ბამბის კულტურისადმი იჩენენ. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ დადებული პირობის ძალით ბამბის ფასი 4—5-ჯერ სჭარბობს პურის ფასს, ამიტომაც არის, რომ გლეხები ყანებს დიდი სიფრთხილით და თავდარიგით უვლიან. ბევრ გლეხს ბამბის კარგი მოსავალი საშუალებას მისცემს ფეხზე წამოაყენოს დანგრეული მეურნეობა და კიდეც გააფართოვოს იგი. ბამბის სათესი კამპანია რომ დროზე დაწყებულიყოს და ბამბის თესლი საკმაოდ ყოფილიყო, წრეულს საქართველოში შეიძლებოდა დათესილიყო 2—3 ათასამდე დესიატინა, ბამბის მოწევის დროს მთავარ საბამბო კომიტეტს განზრახვა აქვს რაიონის ცენტრში გახსნას ბამბის შესასყიდათ პუნქტები, რომელნიც მომავალ სათეს კამპანიის დროს გახდებიან დასაყრდნობ პუნქტებით, ღ რომელნიც კამპანიის წარმატებათ ჩატარებას ხელს შეუწყობენ.

პროფკავშირებში

ხეზე მომუშავეთა კავშირში

ხეზე მომუშავეთა მუშაკების ყრილობა.

ხეზე მომუშავეთა კავშირის მუშაკების ყრილობა გამგეობის დადგენილებით მოწვეულ იქნება სექტემბრის 25-ს.

მუშათა ხელფასის გადიდება.

1 აგვისტოსთვის ხეზე მომუშავეთა კავშირის მიერ დადებულ კოლექტიური ხელშეკრულებებს დაწესებულება წარმოებებთან უთავდება ვადა. კავშირის გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში მუშათა ნივთიერი ხელმოკლეობა ახალ კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს ფიქრობს გაადიდოს მუშათა ხელფასის რაოდენობა. ამ მიზნით კავშირმა გადასწყვიტა შეადგინოს სია ყველა დაწესებულებების და გამოარკვიოს მისი შემოსავალი.

სპეც-ტანისამოსი.

კავშირმა ყველა ქარხკომებს დაუგზავნა მიწერილობა, რათა ქარხანაში მომუშავე ყველა მუშებს მიეცეთ აუცილებლივ სპეციალური სამუშაო ტანისამოსი.

სუმბათოვის ხე-ტყის ქარხანაში.

სუმბათოვის ხე-ტყის ქარხნის შტატის შესამოკლებლად და აგრეთვე საორგანიზაციო საქმეების მოსაგვარებლად კავშირმა სპეციალურად გაგზავნა ამხ. ფედოროვი.

მოსკოვის სახ.-სამეურნ. გამოფენაზე.

მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კავშირს დაეთმო ადგილები: სოჰილავას ქარხანას—1, ბორჯომის და სუმბათოვის—1, ქუთაისს—1 და თფილისისთვის—2 ადგილი.

პოლიგრაფიულ წარმოების კავშირში.

დახმარება გაჭირვებულებს

პოლიგრაფიულ წარმოების კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: ურთიერთ დამხმარე კასიდან მისცეს დახმარება სესხის სახით იმ წევრებს ვინც უფრო ნივთიერად გაჭირვებულია და ამის შესახებ უნდა მოითხოვოს სათანადო მოწმობები.

ბავშვთა ვარჯიშობისთვის.

„სპარტაკის" წრესთან არსებობს ბავშვთა სავარჯიშო წრე. ბავშვთა ტან ვარჯიშობის საჭიროებისთვის კავშირი იძენს საჭირო საგნებს.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ახალქალაქის მაზრა

საუბარი საქ. სახ. სასურს. კომის. საგადასახადო ინსპექტორ [illegible]დოვთან.

წარსულ წლების დაკვირება-გამოცდილებამ მეტად დიდი და კეთილი გავლენა იქონია წრევანდელ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წინასწარ სამუშაოს შესრულების საქმეზე. საკმარისია გავეცნოთ საგადასახადო კომისიის სხდომების ოქმებს და იმ საკანტროლო მასალების სიას, რომელიც დარიგებული იყო ყველა სარაიონო გადამწერზე, რომ წარმოვიდგინოთ ის, თუ რაოდენად სერიოზულ და დიდს მნიშვნელობას აძლევდნენ ადგილობრივად ამ საქმეს და რაოდენ სიფრთხილით და გულმოდგინეთ სწარმოებდა იქ გადასახადით დასაბეგვრ ობიექტების აღნუსხვა. ახალქალაქის სამაზრო საგადასახადო კომისიამ გადამწერთ შემდეგი მასალები დაურიგა სახელმძღვანელოდ: 1) კომლთა რიცხვი თვითეულს სოფელში სამაზრო აღმასკომის ცნობებით, 2) საადგილმამულო განყოფილების საგეგმო ცნობები მიწათ-მფლობელობის რაოდენობის შესახებ მაზრებში 1922—23 წ., 3) სასოფლო ამონაწერები მიწის მზომლებისა, რომელნიც ამ ჟამად მაზრაში მუშაობენ აგრარულ რეფორმის განსახორციელებლად, 4) 1921 წლის სასურსათო გადასახადის სიები, საქონლის გამრავლების მხედველობაში მიღებით, 5) მასალები წარსულ წლის გადასახადის გასანაწილებლად და 6) ზოგიერთს შემთხვევებში ნამდვილი გეგმები.

თვითეულ გადამწერს მიცემული ჰქონდა დეკრეტი და ინსტრუქციები როგორც ცენტრიდან მიღებული, ისე ადგილობრივად დამატებით შემუშავებული; ამასთანავე მიცემული ჰქონდათ ასლები სამაზრო აღმასკომის ბრძანებისა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის დაწყების შესახებ.

სიებს ადგენდნენ სათემო აღმასკომთა, ამორჩეულ გლეხთა და სათემო კომიტეტის თანადასწრებით. შემდეგ ამ სიებს აქვეყნებდნენ სასოფლო ყრილობაზე და იქვე ხდებოდა შემოწმება, აგრეთვე შესწორება, თუ ეს საჭირო იყო. საქმის ასეთ დაყენებას შედეგად ის მოჰყვა, რომ მიღებულ ცნობებში თვალსაჩინო განსხვავება გამოვიდა საკანტროლო მასალასთან შედარებით მხოლოდ 11 სოფელში სახნავის მიხედვით და 3 სოფელში—საქონლის მიხედვით. ყველა ასეთ შემთხვევაში სამაზრო სასურსათო კომისარი პირადათ მიდიოდა ადგილებში. ამ გზით აღმოჩენილ იქნა 2236 დესეტინა სახნავი. საქონლის რიცხვის შესახებ რაიმე თვალსაჩინო განსხვავება არ იყო: ერთს სოფელში უჩვენეს 116 სული მსხვილფეხა საკლავი საქონელი და 58 სული წვრილფეხა საქონელი, ხოლო შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა 270 სული მსხვილფეხა საქონელი და 230 სული წვრილფეხა

ახალქალაქის მაზრიდან ოსმალეთში გადასახლებას აპირებს სოფ. კოკიას მოსახლეობა, რიცხვით 163 კომლი. ამათ ჯერ თითქოს უარი სთქვეს გადასახადის მიცემაზე, მაგრამ შემდეგ პირობა მისცეს, ოსმალეთში გადასახლებამდე მთლად გადაეიხდით ჩვენს კუთვნილ გადასახადსაო.

აღნუსხვის შედეგი ასეთია: სახნავი—51,044 დესეტინა, სათიბი—17,314 და ხილის ბაღი—138, მსხვილ-ფეხა საქონელი—28,235 სული და წვრილფეხა—52,740. 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით, მსხვილ ფეხა საქონელი ითვლებოდა 88,522 სული, ხოლო წვრილ-ფეხა—224,697 სული. თუ აქედან გამოვრიცხავთ ახალგაზრდა საქონელს და ამას გარდა მხედველობაში მივიღებთ, რომ ახალქალაქის მაზრაში ორჯერ იყო ოსმალეთის ჯარი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მაზრაში იმ რიცხვზე მეტი საქონელი არ უნდა იყოს, რამდენიც ნაჩვენებია უკანასკნელ სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით.

საგადასახადო კომისიას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული მოსავლიანობის გამორკვევის საქმისათვის. აქ მას დიდი დახმარება აღმოუჩინა საადგილ-მამულო განყოფილებამ. მთელი ძირითადი სამუშაო სამაზრო სასურსათო კომიტეტმა შეასრულა. ყველა სათემო აღმასკომს დავალებული ჰქონდა ყოველ შაბათობით მოეწოდებინათ ცნობები მოსავლიანობის შესახებ, რასაც აღმასკომები სისწორით ასრულებდნენ. ამას გარდა თვით სამაზრო კომისარიც მიდიოდა ადგილებში და პირადად ამოწმებდა მოსავლიანობას.

სასოფლო-სამეურნეო წელიწადი მაზრაში გვიან დაიწყო, მაგრამ მოსავალს კარგი პირი უჩანდა. ბოლო ხანს წვიმა აღარ ყოფილა, რამაც შეაწუხა ნათესები და ბალახი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ახალქალაქის მაზრის ცხოვრებაში.

სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლის მოქმედება

უკანასკნელ დრომდე პერიოდული გამოცემები დეტალურად არკვევდენ საკითხს მასწავლებელთა გადამზადების შესახებ, ხოლო სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა მომზადების საკითხს ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში მიღწეულია უკვე პედაგოგთა გაერთიანება, სწარმოებს მეთოდიური მეცადინეობა. ირკვევა ახალი სკოლის მეთოდები.

რაც შეეხება სკოლის გარეშე მუშაკნი,—სრულწლოვან მოქალაქეთა მასწავლებელნი, წერა-კითხვის უცოდინარობის „ლიკვიდატორები", კლუბის მუშაკნი, და სამკითხველო-ბიბლიოთეკის ხელმძღვანელნი—ისინი ჯერ-ჯერობით ვერ გაერთიანებულან რეგულიარულ მეთოდიურ მუშაობის საწარმოებლად.

ამ საკითხის მოგვარება დღის წესრიგშია ჩვენში დასმული. ტფილისში უკვე კაი ხანია მოეწყო სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლი.

სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლი.

ოთხი თვის განმავლობაში სახლის აუდიტორიაში ყოველდღიურად იკრიბებოდენ სკ.-გარ. განათლების მუშაკნი მეთოდიური საკითხების კოლექტიურად დასამუშავებლად. დაარსებულ იქნა სპეციალობის მიხედვით სამი სექცია: საბიბლიოთეკო, სასკოლო და საკლუბო, რომელთაც საერთოდ 47 სხდომა ჰქონდათ.

ყოველი თვის გასვლისას სექციათა მუშაობა უფრო ღრმა და შინაარსიან ხასიათს ღებულობს.

პოლიტიკური აღზრდა.

პოლიტიკური აღზრდის მიზნით სკოლის გარეშე განათლების მუშაკთათვის მოეწყო მარქსიზმის შესასწავლი წრე, რომელსაც ოთხი თვის განმავლობაში ჰქონდა 17 სხდომა.

სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლთან ეწყობა სკოლის გარეშე განათლების მუზეიუმი.

ასტრონომიული ცოდნა.

სახლის ასტრონომიულ სადგურზე მოხდა 24 ღამის განმავლობაში ასტრონომიულ მოვლენათა შესწავლა და დაკვირვება ტელესკოპით. ასტრონომიულ საღამოებზე მოსიარულეთა რაოდენობა უდრიდა 480 კაცს

ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

სკ. გარ. განათლების მუშაკთათვის შეღავათიან პირობებში მოწყობილია წიგნთ-საცავი და სამკითხველო დარბაზი, რომელსაც მეტად დიდი სარგებლობა მოაქვს. სამკითხველოს დარბაზში თავმოყრილია და დაგროვილი ქალაქში არსებული ყოველგვარი წიგნი სკოლის გარეშე განათლების შესახებ და აგრეთვე საკმაოდ მნიშვნელოვანი და ძვირფასი წიგნების კომპლექტი სოციალურ-მეცნიერებიდან. სამკითხველოს დარბაზში წიგნების საერთო რაოდენობა უდრის 6,500 ცალს, ხოლო წიგნთ-საცავში 26,000. პოლიტ-მუშაკნი თანდათანობით ეჩვევიან ხანგრძლივად ყოფნას სამკითხველოს დარბაზში, სადაც ისინი ამზადებენ მოხსენებებს და ემზადებიან ლექციებისთვის. ოთხი თვის განმავლობაში სამკითხველოში მოსულთა რაოდენობა უდრიდა 6.000, დღეში საშუალოდ 35—60 კაცს.

მუშაობის შედეგები.

პოლიტ-მუშაკთა მუდმივმა მეცადინეობამ მეთოდიურ საკითხებზე, მარქსისტულ წრეში ნაყოფიერმა მუშაობამ და სამკითხველოს მოღვაწეობამ შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო, რის მაჩვენებელია წაკითხულ სოციალური წიგნების რაოდენობის ზრდა. სოციალურ წიგნების განყოფილებიდან წაღებული წიგნების რიცხვი 8 პროცენტიდან 25 პროც. ავიდა.

ქალაქის რაიონების სამკითხველოში კი სოციალურ საკითხების შესახებ წაკითხულ წიგნთა რაოდენობა ირყევა 2 პროც.—7 პროც. შუა.

საპროგრამო—მეთოდიური კაბინეტი.

საპროგრამო—მეთოდიურმა კაბინეტმა, რომელიც აერთიანებს სკ. გარ. განათლების უფრო კვალიფიციურ მუშაკებს და რომელსაც მხოლოდ ერთი შტატიანი თანამშრომელი ჰყავს, დაამუშავა 12 მოხსენება, შეიმუშავა და რედაქცია გაუკეთა სკოლის გარეშე განათლების შესახებ დამზადებულს სალიტერატურო მასალას, რომელიც 450 საბეჭდ ფურცელს შეიცავს (უმეტესი ნაწილი უკვე გამოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე) ამას გარდა კაბინეტმა მოაწყო საბიბლიოთეკო საქმის მცოდნე პირთა მოსამზადებლად მოკლე-ვადიანი კურსები, რომელმაც თავისი მუშაობა გასულ კვირას დაასრულა

საზაფხულო მუშაობა.

საზაფხულო პერიოდში მუშაობა შენელდა, მეთოდიური მეცადინეობა არდადეგების გამო შეჩერებულია, რეგულიარულ სხდომების ნაცვლად განზრახულია მოეწყოს საზოგადო საგანმანათლებლო ლექციები, რამდენიმე კონფერენცია და, თუ სახსარი იქნება, მოკლე ვადიანი კურსები კლუბის მუშაკთა მოსამზადებლად.

ქრონიკა

განათლების კომისარიატში

— **არქეოლოგიური გამოკვლევა.** სამეცნიერო დაწესებულებათა მართველობამ სახ. უნივერსიტეტის დოცენტი ლეონ მელიქსედ ბეგი მიავლინა წალკა-ამშულალის რაიონში საარქეოლოგიო კვლევა ძიების საწარმოებლად.

— **გადასამზადებელი კურსები.** ქ. ოზურგეთში 20 ივლისს გაიხსნა მასწავლებელთა გადასამზადებელი 1 თვენახევრიანი კურსები.

— **სახელოვნო კომიტეტის დებულება.** სახელოვნო კომიტეტმა გრ. რობაქიძეს და ლ. რუხაძეს დაავალა შეადგინონ სახელოვნო კომიტეტის დებულება და სახელმძღვანელო ინსტრუქცია, მათვე დაევალა კომიტეტთან არსებულ ხელოვნების საქმეთა საბჭოს ფუნქციების გამორკვევა.

— **სამუსიკო ბიბლიოთეკა.** სახ. კომიტეტმა დაადგინა, დაარსდეს ცენტრალური სამუსიკო ბიბლიოთეკა, აღნიშნულ ბიბლიოთეკაში გადმოტანილი იქნება სხვათა შორის ზუგდიდის სასახლეში და წითელ-არმიელთა კლუბში დაცული ნოტები და სამუსიკო შინაარსის წიგნები.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **ციებ-ცხელების წინააღმდეგ.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო ქვეგანყოფილებამ ტფი

მუშათა ცხოვრება

საჭიროა სახალხო ქონების მოვლა-შენახვა

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ)

პირველ სახელმწიფო თუთუნის ქარხნის საწყობებში და აგრეთვე სხვა ქარხნების საწყობებშიც ყრია მოუხმარებლად „ბაბინები“ და „გილზები“—ეს ქონება ლპება და ფუჭდება სარდაფებში. ამ „ბაბინების“ გამოყენება კი შეიძლება, თუ მანქანის საშუალებით არა—ხელით გაკეთებით მაინც—და შემდეგშიაც განალდება სხვა გილზებთან ერთად.—ამგვარად გამოყენებული ნივთები მოუტანს დიდ სარგებლობას თუთუნის ტრესტს. ამისათვის ქარხნის ადმინისტრაციამ უნდა აიყვანოს რამოდენიმე ძველი ქარხნის მუშები, რომლებიც ამ მუშაობას ეწეოდნენ მანქანების შემოსვლამდე. ძალიან ბევრია დღეს უმუშევართა შორის ამისთანა მუშები.—ამ მუშების მოწვევით შესაძლებელია გადარჩეს გაფუჭებისა და დალუპვისაგან რამდენიმე მილიარდების საღირალი „ბაბინები“; ამასთან ამით მიეცემა საშვალება არსებობისთვის 10—15-მდე უმუშევარ მეთუთუნე-მუშებს. გილზების და კოლოფების შესახებ—ჩემ მიერ იყო მოთავსებული გაზეთ „კომუნისტში“ წერილი, მაგრამ თუთუნის ტრესტს არავითარი ზომები დღემდე არ მიუღია და აქამდის გილზები და კოლოფები—რაც წარმოადგენს ბევრ ღირებულებას, იგზავნება სანაგვე ყუთში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება ამ დაუშვებელ გარემოებას და მიიღოს სათანადო ზომები.

მეთუთუნე ბახშო.

მუშათა უბნის ჭირ-ვარამზე

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ნაძალადევის (მუშათა უბნის) მიდამოები მეტად საამურად არის აყვავებული სხვა და სხვა მცენარეულობით და ხეებით. აღნიშნულ უბანს გარშემო არტყია მშვენივრად ამწვანებული გორაკები და პატარა ტყეები, ამიტომ აქაური მუშა-მცხოვრებლები არიან კმაყოფილნი თავისი საცხოვრებელ ადგილით. მხოლოდ ერთი გარემოება უშლით მათ ხელს, რომელსაც უნდა მოეღოს მალე ბოლო და მუშა-მცხოვრებლებიც იქნენ მისგან განთავისუფლებულნი, ეს გახლავთ ნიაღვარი, რომელიც ძალიან აწუხებს მცხოვრებლებს. მოვა თუ არა წვიმა, იმ წამსვე მიუვარდება ხოლმე ნიაღვარი ზოგიერთ ეზოებს, რადგან ქუჩაში წყალს გასავლელი გზა არა აქვს და ათასგვარ ნაგვით, შლამით და მიწით ავსებს ზოგიერთ მცხოვრებლების კარ-მიდამოს. ყოველივე ეს კი მუშა-მოსამსახურეთათვის ძალიან საზიანოა. საჭიროა გარემოებას მოეღოს ბოლო და მე-11 რაიონის მუშა-მცხოვრებლები ამ უბედურებისგან იქნენ განთავისუფლებულნი.

მუშის—შვილი დევაძე

პირველ სახელმწიფო სამკერვალოში

პირველ სახელმწიფო სამკერვალოს მუშების 70 პროცენტი 7 ივნისიდან იქნენ დათხოვილი შვებულებაში საქმის უქონლობის გამო.

საერთო კრების დადგენილებით შვებულების ფული, რომელიც ერგებოდათ მუშებს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, ეს ფული იქნა შუაზე გაყოფილი, ნახევარი თვის მიიღეს მუშებმა და ნახევარი კი დაუთმეს სამკერვალოს რომ ამ თანხით საქმე აღმოეჩინა ადმინისტრაციას მუშებისათვის შვებულებიდან დაბრუნებისას.

მუშები უკვე დაბრუნდნენ შვებულებიდან და ის მცირე შენაკვეთი, რაც მათ დახვდათ უკვე შესრულეს სხვა საქმე კი მათ აღარ აღმოაჩნდათ. რადგანაც ის პირობა, რომელიც იყო დადებული ადმინისტრაციასთან ამ უკანასკნელის მიერ არ იქნა შესრულებული, რა მიზეზით ეს ჩვენ არ ვიცით. პირიქით კავშირმა და ადმინისტრაციამ გადასწყვიტა შტატის შემცირება და 7 ივლისს გამოცხადებულიც იქნა დათხოვნილ მუშების სია. დათხოვნილ მუშებს მიეცათ სალიკვიდაციო ფული და ორი კვირის წინასწარი გაუფრთხილებლობის ფული. მუშებს აგრეთვე დაუბრუნდათ შვებულების ფულებიც.

მაგრამ ჩვენ და სამწუხაროდ შტატის შემცირებამ ვერ გაუმთელა წყლული ჩვენს სამკერვალოს, რადგან მაღალი ხარისხოვანი მეურნენი არ უდგანან სათავეში მას და ერთი წელიწადია, რაც ის ძლივსღა ღაფავდა სულს, ახლა კი მას ბოლო ელება, რადგანაც უკვე გადასწყდა სამკერვალოს დაკეტვის საკითხი. ადმინისტრაცია უნდა გაუსწორდეს მუშებს 28 ივლისამდე და შემდეგ კი ჩვენი სამკერვალო დაიკეტება და ბევრი მუშა-ხელი უსაქმოდ დარჩება.

მუშა ქალი გველესიანი მარია.

ლითონის განყოფილების მოქმედება ა. წ. ივნისში.

გასულ თიბათვეში ლითონის განყოფილების 5 ქარხანა-სახელოსნოებიდან მუშაობდა სამი (პირველი და მესამე ავტო-სახელოსნო და მე-2 ქარხანა), ნაწილობრივ მუშაობდა 1-ლი ქარხანა; სრულებით არ მუშაობდა სპილენძის სატკეცი ქარხანა მასალის უქონლობის გამო.

მუშა-ძალა: როგორც სამმართველოში, ისე ქარხანა-სახელოსნოებში თვის ბოლოს ირიცხებოდა სულ 417 მუშა-მოსამსახურე. აქედან—სამმართველოში 51 თანამშრომელი და წარმოებითი დაწესებულებებში 366 მუშა-მოსამსახურე. ამ რიცხვიდან მწარმოებელ მუშათა რიცხვი შეადგენს 260 კაცს. არა-მწარმოებელი—51-ს; ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი შეადგენს 55-ს. ამ რიცხვში შედის აგრეთვე კანტორაც.

ქარხანა-სახელოსნოებში მუშათა რიცხვი მატულობს, რაც აიხსნება მით, რომ ლითონის განყოფილების მდგომარეობა მაგრდება და საზაფხულო მუშაობა ჩაღდება. აქ ერთ მოსამსახურეზე მოდის 6,5 მუშა იმ დროს, როდესაც 1922 წ. ეს რიცხვი ძლივსღა აღწევდა 5,8-მდე.

მუშაობის გაცდენა. ხელფასის პირობების გაუმჯობესებისა და დიდი დაკვეთების მომატების გამო მიმდინარე წელში მუშათა გაცდენამ ქარხანა-სახელოსნოებში საგრძნობლად იკლო. სამუშაოზე გამოსვლათა რიცხვი ივნისში უდრის 5.746, გაცდენის შემთხვევა—87. საერთოდ მუშაობის გაცდენას ლითონის განყოფილებაში უკავია ძალიან მცირე ალაგი მთელ ს. მ. უ. ს. ორგანოთა შორის და ისიც საპატიო მიზეზების გამო. მაგ. სამუშაოზე არგამოცხადება ივნისში შეადგენდა 12,1 პროცენტს, რაც აიხსნება მით, რომ ამ თვეში დაიწყო შვებულებების მიცემა მუშა-მოსამსახურეთათვის.

მუშკორი მეტითონე.

შრომის გმირები.

ამას წინად სოფ. გომის არყის სახდელი ქარხნის მუშები: ლომიძე, ხეთაგური, ზაბლუცკი და აგრეთვე აღნიშნულ ქარხნის გამგე ამხ. ეგანოვი თავის სურვილით შეუდგენ ავჭალის მინის ქარხნის შეკეთებას, რომელიც მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო (ინგრეოდა). ხანგრძლივი და თავდადებულ შრომით ზემოხსენებულ მუშებმა ქარხანა სავსებით შეაკეთეს და ამგვარად სახალხო ქონება დაღუპვისაგან იხსნეს. ამის გამო ღვინის სახელმწიფო ტრესტი, მოითხოვს ქიმიკოსთა კავშირისგან ზემოხსენებული მუშები აღნიშნულ იქნენ წითელ დაფაზე, როგორც შრომის გმირები.

მუშკორი განი.

ლისის მაზრაში მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველათ და ამ მიზნით საჭირო ქინა-ქინის შესაძენათ გადასდო 5 მილიარდი.

— **სანიტ.-განათლ. მუზეუმი.** ამავე კომისარიატის თაოსნობით სანიტ-განათლების განყოფილების შენობაში იხსნება მუზეუმი, მუზეუმში დიდი ყურადღება ექნება მიქცეული სოციალურ ავადმყოფობას.

ქალაქის აღმასკომში

— **სახლების შესაკეთებელი სივრცე.** გარეუბნების სახლების შესაკეთებელი სივრცე აღმასკომის ცნობით უდრის 22,000 კვ. საჟენს.

სხვა და სხვა.

— **შუამდგომლობა ავჭალის მცხოვრებლებისაგან.** ავჭალის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს სადაც ჯერ არს, რათა ავჭალის წყალსადენის სადგურთან ჩერდებოდეს ყველა მატარებლები.

— **სოციალური დაზღვევის განყოფილების თავმჯდომარეს დანიშვნა.** სოციალურ დაზღვევის განყოფილების თავმჯდომარეთ საქ. პროფ. კავ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ამხ. ცომაია.

— **ახალი გამოგონებანი.** ტფილისში არსებობს ახალი გამოგონებათა საწარმოებლათ მუშათა ჯგუფი, რომლის წევრებმა ბაკურაძემ და გიორგობიანმა გამოიგონეს: პირველმა—„პერპეტუმ-მობილე“ და მეორემ—მექანიკური მუშტუკი, რომელიც თავისთავათ ისვრის პაპიროსის ნამწვავს.

— **უმუშევართათვის სამუშაოს გამონახვა.** უმუშევრობასთან მებრძოლ კომისიამ გადასწყვიტა უმუშევარნი გაგზავნოს შეშის დასამზადებლათ საქართველოს სხვა და სხვა ტყიან ადგილებში.

— **თვითშრომელთა კავშირში.** თვითშრომელთა კავშირის გასაწმენდათ შესდგა კომისია, რომელშიაც შედიან წარმომადგენლები: სოც. უზრ. კომისარიატისა, კომპარტიისა, პროფკავშირებისა, ქალაქის-აღმასკომისა და თვითშრომელთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებისა. კომისიამ უკვე დაიწყო მუშაობა.

შრომის ბირჟა

— **უმუშევრები.** 24 ივლისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 617 უმუშევარი, ჩაეწერა ახლად—94, გაიგზავნა სამუშაოზე—110.

სამეცნიერო კრებული.

— **გამოვიდა ყოველთვიური სამეცნიერო კრებული „ჩვენი მეცნიერება“ შემდეგი შინაარსით:** 1. პროფ. შ. ნუცუბიძე, შპენგლერი, როგორც ევროპიულ აზროვნების კრიზისის მაჩვენებელი, 2. კ. ბაქრაძე, ალეთოლოგიური რეალიზმი, 3. პროფ. დ. უზნაძე, სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები, 4. პროფ. გ. ახვლედიანი, „სა-ო“ და „—ური“-ს მნიშვნელობა, 5. პროფ. გ. ახვლედიანი, პროთეტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში, 6. გ. ჩიქობავა—ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, 7. დოცენტი გრ. ნათაძე, გლეხების გადასახადები უძველეს საბერძნეთში, 8. პროფ. კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველს ქართ. მწერლობაში, 9. პროფ. გ. წერეთელი, მენანდრის კომედიები, 10. ს. გორგაძე—ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, 11. პროფ. ი. ბერიტაშვილი და ექ. დ. იაშვილი—აგზნებულების სხვადასხვაობა კუნთის ფარგლებში, 12. პროფ. ალ. ნათიშვილი, ადამიანის აორტის რკალის დატოტიანების წესის ემბრიონალური დარღვევა, 13. პროფ. ვ. მოსეშვილი, საქართველოს რესპუბლიკის საბალნეოლოგიო პუნქტების მოწყობის გამო, 14. რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის მოღვაწეობა, წიგნს დართული აქვს საენათმეცნიერო ტერმინოლოგია.

ხელოვნება.

— **თიანეთის სახალხო სახლის გახსნა.** ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის თიანეთის სახალხო სახლის გახსნა მოხდება 29 ივლისს.

— **„ტრისტან და იზოლდა“ ქართულად.** სახელმწიფო ოპერის თეატრის ახალმა გამგეობამ წინადადებით მიმართა ფოცხვერაშვილს, რათა მან სთარგმნოს ქართულად ვაგნერის ოპერა „ტრისტან და იზოლდა“.

ჩოხატაური-ტობახჩის შარა გზა

უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ გადასწყვიტა ჩოხატაური-ტობახჩის შარა გზის გაყვანა.

ამ გზას აქვს თავისი ისტორია. ჯერ კიდევ ნეტარხსენებულ ნიკოლოზის დროს იყო ლაპარაკი ამ გზის გაყვანაზე, თითქოს მენშევიკების დროსაც ალაპარაკდენ, მაგრამ ყველამ უწყის, რომ ეს ოცნებას არ გასცილებია. ამ წერილში არ გვაქვს განზრახვა ჩვენც ვილაპარაკოთ და ვწეროთ მხოლოდ; მაგრამ არ იქნება ინტერესს მოკლებული, თუ მკითხველ საზოგადოებას და ჩვენს ორგანიზაციებს გავაცნობთ იმ ღრმა მნიშვნელობათ, რომელნიც ექნება ამ გზის გაყვანას როგორც ეკონომიურ-კულტურულ, ისე პოლიტიკური-სტრატეგიული მხრით.

ეს გზა დაიწყება ჯერ კიდევ ჩოხატაურის თემში, შემდეგ ბუკისციხის დიდი ვანის, შუა-სურების და ზემო-თავსურების თემებზე გავლით და მიდის სურების მთების ძირამდე.

სურების მთები დაუშრეტელი წყაროა ხე-ტყის მასალისა. იგივე მთები შესანიშნავია თავისი სალი ჰავით, რომელიც ვერ იპყრობს საჭირო ყურადღებას უგზოობისა გამო, და რომელიც ჩვენს კურორტებს არ ჩამორჩება. მდ. სუფსის ნაპირები კი, მთის ძირი, სადამდისაც მიდის გზა, მდიდარია სალებავი მიწის მადნით, რომელიც გამოკვლეული არის და აქვს უაღრესი მნიშვნელობა ქიმიურ მრეწველობისათვის, რომელსაც თითქმის პირველი ადგილი უჭირავს თანამედროვე მსოფლიოს წარმოებაში. არსებობს აგრეთვე აზრი, რომ შესაძლებელია სხვადასხვა მადნეულობის აღმოჩენა ამ ადგილებშიო.

ყველა ეს უძვირფასესი სიმდიდრენი არიან ადამიანის უსარგებლოდ უქმად, შესაფერი გზების უქონლობისა გამო, მათი საექსპლოატაციოდ და მოსახმარად საჭირო გზის გაყვანა კი მყისვე შესაძლებლად გახდის როგორც ხე-ტყის მასალის დამუშავებას, რომელიც აუცილებლად დადებით გავლენას მოახდენს აღმ. გურიის მშრომელი გლეხკაცობის მატერიალურ მდგომარეობაზე, აგრეთვე შესაძლებლათვე გახდის დამუშავებას და უფრო დაწვრილებით შესწავლას იმ მადნებისას, რომლებზედაც და რომელთა მნიშვნელობაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ასეთია მოკლედ ეკონომიური მნიშვნელობა ამ სასურველი მიზნის განხორციელებისა. რაც შეეხება კულტურულ - პოლიტიკურ მნიშვნელობას, ეს განუზომელი იქნება რამდენადაც ეს გზა, როგორც ყველა ენერგიას შემატებს მცხოვრებლებს, აამუშავებს მათი თითქმის გაჩერებულ მაჯის ცემას და გამოიყვანს იმ პასიურ მიდუნებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფება ხალხი. დღეს იქ, მენშევიკების და სხვა და სხვა ყალიბის კონტრ-რევოლიუციონერების აგიტაციის წყალობით. დაბოლოს გურიის მშრომელები დარწმუნდებიან, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება მარტო სიტყვებით არ კმაყოფილდება სახალხო მეურნეობის აღდგენაში და საერთოდ მშრომელების მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ამ გზის გაგრძელება არის ის საცხენოსნო გზა, რომელიც მიემართება ახალციხეში, აბასთუმანში და ბორჯომის ხეობისაკენ სურების მთებზე გადავლით. მთის ძირამდე გზის გაყვანა გამოიწვევს ამ გზის გაუმჯობესებასაც, ვინაიდან მაშინ მეტი ხალხი მოაწყდება ახალციხე ახალქალაქის მაზრებიდან ასე, რომ აღსდგება პირდაპირი და მოხერხებული კავშირი ოზურგეთის და ახალციხე ახალქალაქის მაზრებს შორის, რაიც უბრალო სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელი არ იქნება.

ასეთია მოკლედ იმ მნიშვნელობათა მთელი რიგი, რომელნიც თან ახლავან ამ დიდებულ მიზნის განხორციელებას. საჭიროა, რათა ამას კარგად მიაქციოს ყურადღება ჩვენმა მთავრობამ და განსაკუთრებით კი სამეურნეო ორგანოებმა მთავრობისა, რათა უფრო ენერგიულად განაგრძონ დაწყებული დიდი საქმე, რომლის სასურველად დაგვირგვინებაში მათ შესაფერ დახმარებას გაუწევს და გვერდში ამოუდგება აღმ. გურიის მშრომელი გლეხკაცობა.

ა. რამიშვილი.

პროვინციაში

ახალქალაქის თემი (გორის მაზრა).

22 ივლისს დილის 10 ნახ. საათზე გაიხსნა ახალქალაქის თემის-უპარტიო გლეხთა კონფერენცია. რიცხვი დამსწრე დელეგატებისა აღწევდა 450 კაცამდე. ყრილობა გახსნილ იქნა ღია ეზოში, რომ არა-დელეგატებსაც მიეღო მონაწილეობა ყრილობის მსვლელობაში. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 9 კაცისაგან ამხ. გ. ელისაბედაშვილის თავმჯდომარეობით. საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქმნენ ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ჯუღაშვილი, ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, მ. ორახელაშვილი. ყრილობას მიესალმენ ფინანსკომის სახელით ამხ. ელისაბედაშვილი, გორის სამაზრო პარტკომის და აღმასკომის სახელით ამხ. ჯანჯღავა და ადგილობრივ თემკომის სახელით ამხ. ვ. კვანტალიანი. გაიგზავნა მისალოცი დეპეშები ცაკში, ცეკაში, სამაზრო აღმასკომში და პარტკომში. მოხსენება პირველ საკითხზე „თემის აღმასკომის ანგარიში“ გააკეთა ამხ. ეს. მამასახლისოვმა. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს თემის აღმასკომის ნაყოფიერ მუშაობას. შემდეგ მოხსენება „საბჭოთა აღმშ. სოფლად“ გააკეთა ამხ. გ. ელისაბედაშვილმა, მოხსენების შემდეგ გახსნილ იქნა კამათი, სადაც გამოირკვა რომ სოფლად ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მხოლოდ გლეხკაცობა ძალიან გაღატაკებული არის, და საჭიროა მთავრობის დახმარება. რეზოლიუციაში ნაჩვენებ იქნა თუ რა უნდა გაკეთდეს ახალქალაქის თემისათვის. მორიგი საკითხი იყო სასოფლო სამეურნეო გადასახადი. მოხსენება გააკეთა ამხ. ჯანჯღავამ.

მოხსენებას დიდი კამათი არ გამოუწვევია. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მიზანშეწონილად სცნობს ამ გადასახადის შემოღებას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ურიგაშვილმა მოხსენება ყურადღებით იქნა მოსმენილი და სათანადო რეზოლიუცია იქნა გამოტანილი.

უკანასკნელ კითხვებზე საურთიერთო დამხმარე საგლეხო კომიტეტებზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჯანჯღავამ და გააცნო ყრილობას კომიტეტების მნიშვნელობა. ყრილობა კმაყოფილებით შეხვდა გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებათა დაარსების აზრს. საერთოდ გლეხკაცობის სულისკვეთება საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთაა განწყობილი. მხოლოდ სოფელი დიდ გაჭირვებაში არის ჩავარდნილი, ნახევრად ტიტველი დადის და საჭიროა დახმარება მანუფაქტურის მოწოდებით იაფ-ფასებში. მასთან საჭირო არის ტყის საკითხის მოგვარება, გლეხკაცობამ შეღავათიან ფასებში უნდა ისარგებლოს ტყეებით და უღარიბესმა კი სრულიად უსასყიდლოდ. ამას თხოულობს გლეხკაცობა.

შალ—ძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1923 წლის ივლისის 16-ს

რაიონების განაწილების შესახებ მოსავლიანობის კატეგორიების მიხედვით

1923 წლის აპრილის 23 თარიღით ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-8 მუხ. განსავითარებლად ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭო აწესებს რაიონების შემდეგ განაწილებას მოსავლიანობის კატეგორიების თანახმად, რაც დადგენილია ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის 2 მაისის 29 თარიღით გამოცემული დეკრეტით—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის შესახებ:

აზერბაიჯანში

მე-2 კატეგორია (25-დან 30 ფუთამდე) ბაქოს მაზრა.

მე-5 კატეგორია (40-დან 45 ფუთ.) მაზრები: ზაქათალისა, ნუხისა, ყარიაგინისა და ჟუმათლიანისა.

მე-6 კატეგ. (45-დან 50 ფუთამდე) მაზრები: ყაზახისა, შამხორისა, შუშისა, ჯევანშირისა, ყუბისა, განჯისა, ლენქორანისა, გეოქჩაისა, სალიანისა, შემახისა, აღდაშისა და ნახიჩევანის მხარე.

სომხეთში

მე-4 კატეგორიისა (35-დან 40 ფუთამდე) მაზრები: ახალი-ბაიაზეთისა, დარალაგეზისა, ზანგეზურისა და ალექპოლისა.

მე-5 კატეგ. (40-დან 45 ფუთამდე) მაზრები: კარაკლისისა, დელიჟანისა, ლორისა და მეღრის რაიონი.

მე-6 კატეგ. (45-დან 50 ფუთამდე) მაზრები: ერევნისა და ეჩმიაძინისა.

აღმოსავლეთ საქართველოში

მე-3 კატეგ. (30-დან 35 ფუთამდე) თიანეთის მაზრის მაღლობი (მთის ფერდობები) ზოლი.

მე-4 კატეგ. (35-დან 40 ფუთამდე) თბილისის მაზრა, სიღნაღის მაზრის ქიზიყისა, გურჯაანისა და ქოდალოს რაიონები.

მე-5 კატეგ. (40-დან 45 ფუთამდე) თიანეთის მაზრის დაბლობი ზოლი; მაზრები: ახალციხისა და გორისა; დუშეთის მაზრის დაბლობი ზოლი.

მე-6 კატეგ. (45-დან 50 ფუთამდე) მაზრები: ბორჩალოსი და თელავისა.

მე-8 კატეგორია (60-დან 70 ფუთ.) სიღნაღის მაზრის შირაქისა და ალაზან-გაღმა რაიონები.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დრ. საქმეთა მმართველი

ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დრ. მდივანი ს. **დეკიშვილი.**

დადგენილება. № 24

საქ შრომის სახალხო კომისარიატისა.

21 ივლისი. 1923 წლ.

შრომის სახალხო კომისარიატის 22 ოქტომბრის 1922 № 54 პურის საცხობ წარმოებებში სამუშაო დროის მოწესრიგების შესახებ დადგენილების შესაცვლელად დაადგინა:

1. ყველა პურის საცხობებში მუშაობა უნდა სწარმოებდეს დილის 5 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

2. ის პურის საცხობები, სადაც მუშაობა სწარმოებს დილის 5 საათიდან საღამოს 9 საათამდე ვალდებული არიან იყოლიონ მუშები ორი წყებისა.

3. პურის საცხობები, რომლებიც არ სარგებლობენ დაქირავებულ შრომით ან მუშების ერთი წყება ჰყავთ, მუშაობენ დილის 5 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

4. ყველა პურის საცხობებში, მიუხედავად იმისა, სარგებლობენ თუ არა დაქირავებულ შრომით, სრულიად აღკრძალულია მუშაობის წარმოება:

1. ღამე—საღამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე.

2. კვირა და უქმე დღეებში.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა უქმე ზედი-ზედ ორი დღეა, მუშაობა ნება დართულია უქმე მეორე დღის, მხოლოდ ამ დღის მუშაობა ჩაითვლება როგორც უქმე დღეში მუშაობა.

5. ეს დადგენილება ვრცელდება ყველა პურის საცხობებზე უკლებლივ (ფურნეებზე, თორნეებზე, სალავაშოებზე, ბულკის და ბუბლიკის საცხობებზე და სხვ.)

6. თვალყურის დევნება ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებაზე ევალება შრომის ინსპექტორებს.

7. დადგენილება ეხლ შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

საერთო საორგ. განყ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

შრომის დაცვის განყ. გამგის მაგ. ი. გოლდმანი.

ინსტრუქცია

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

საზოგადოებათა, კავშირთა და მათ შენაერთთა რეგისტრაციისათვის

1. პროფესიონალურ კავშირთა და კომუნისტური პარტიის გარდა, არცერთ საზოგადოებას, კავშირს ან შენაერთს არ შეუძლიან მოქმედება დაიწყოს, თუ მისი რეგისტრაცია არ მოხდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

2. ის პირნი ან ჯგუფნი, რომელთაც სურთ დაარსონ საზოგადოება, კავშირი ან შენაერთი, მოვალენი არიან, სათანადო ორგანოს მიერ მათი წესდების დამტკიცების შემდეგ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ან მის ადგილობრივ ორგანოს—კუთვნილებისამებრ—წარუდგინონ:

ა) საზოგადოების ან კავშირის დამფუძნებელთა კრების ოქმი სამ ცალად;

ბ) საზოგადოების წესდება სამ ცალად;

გ) წესდების დამტკიცების აქტის ასლი—სამ ცალად;

დ) ცნობა სამ ცალად შენაერთის აღმასრულებელი ორგანოს სამყოფელი ადგილისა, მისი სამოქმედო რაიონისა და მის განყოფილებათა და რწმუნებულთა სამყოფელად განზრახული ადგილის შესახებ.

ე) დამფუძნებელი წევრების სია მათი სახელის, გვარის, მისამართის და სოციალური მდგომარეობის აღნიშვნით.

შენიშვნა: შემდეგში იმავე ცნობებით წარედგინება სია აღმასრულებელი ორგანოსი და მის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებანი.

3. ამა ინსტრუქციის გამოცემის დღისთვის ფაქტიურად არსებულმა საზოგადოებამ, კავშირმა და შენაერთმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს უნდა წარუდგინოს:

ა) საზოგადოების წესდება, სია დამფუძნებელ წევრთა და სია იმ დროს მომქმედი აღმასრულებელი ორგანოს წევრთა, მეორე მუხ. „ე“ პუნქტში აღნიშნული ცნობებით—სამ-სამ ცალად.

ბ) ცნობა აღმასრულებელი ორგანოს სამყოფელი ადგილისა და შენაერთის სამოქმედო რაიონის შესახებ, სია განყოფილებებისა, ცნობა მათი სამყოფელი ადგილის შესახებ და სია შენაერთის რწმუნებულთა მათი სამყოფელი ადგილის აღნიშვნით—სამ-სამ ცალად.

4. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი რეგისტრაციის შესახებ იძლევა ქვითარს, რომელიც უნდა ინახებოდეს კავშირის, საზოგადოების ან შენაერთის საქმეში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. **გეგეჭკორი.**

საერთო განყოფ. გამგე **ჩიქოვანი.**

1923 წ. ივლისის 17.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ა. ხაჩიევს გამოცხადდეს ტფ. კომიტეტის სააღრიცხვო-სტატისტიკური ქვე-განყოფილებაში.

ტფ. კომიტეტის მდივანი რუბენი.

— ხუთშაბათს, 26 ივლისს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს კლუბში დანიშნულია საინსტრუქტორო მოხსენება. საჰაერო ფლოტის კვირეულის შესახებ. მომხსენებლად გამოვა საჰაერო ფლოტის უფროსი—შიუკოვი. დასწრება სავალდებულოა ყველა პასუხისმგებელ ხელმძღვანელებისა, უჯრედების მდივნებისა, უჯრედების მიერ მოხსენების გასაკეთებლად არჩეულ ამხანაგებისა.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საag.-საპრ. განყოფილება.

განცხადებები

ს. მ. უ. ს. რ. ს. ფ. ს. რ.

სახსპირტი

სახელმწიფო სპირტის მონოპოლიის რწმუნებულის სამმართველო (სახსპირტი) ამიერ-კავკასიაში

აცხადებს, რომ

ოკას სასანიტარო სამმართველო, სამხედრო ნაწილი, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ჯანმრთელობის განყოფილება, საკურორტო სამმართველოები, სახ. ჯანმრ. კომისარიატის სამკურნალო და სხვა დაწესებულებები, რომლებიც ნარიადებით ღებულობენ სპირტს მოსკოვიდან, მიმაგრებული არიან რ. ს. ფ. ს. რ. სახსპირტის რწმუნებულის სამმართველოზე ამიერ-კავკასიაში

აპრილის და ივნისის თვეში მოუხმარი ნარიადები, ძალაში რჩება ამა წლის 1 აგვისტომდე.

სახსპირტი

აწოდებს სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს რუსეთის პურის გაწმენდილ სპირტს 96—970

ყიდულობს კავკასიის კონიაკს და კონიაკის სპირტს დიდი რაოდენობით,

მიმართეთ: ტფილისი, სასახლის ქუჩა 6, სახსპირტის რწმუნებულის სამმართველო ტელეფონი 9—84.
„ მთავარი საწყობი—ჩერქეზიშვილის ქუჩა № 93, ტელ. 21—33.
„ საქარ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი—ტელეფ. 20—48.
ბაქო კრასნოვოდსკის ქ. 21, მთავარი საწყობი ტელეფ. 9—48.
ბათომი მთავარი საწყობი (ლორის-მელიქოვის ქ. № 3).
(კრ. 503—3—2)

მცხოვრებთა გაფრთხილებისათვის

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს,

რომ ხმარებაში შემოვიდა ამიერ-კავკასიის ყალბი ფულის ნიშნები 1 მილიონი მან. ღირებულების

სერია А 02005

და

სერია А 10004

ფონით, რომელიც ჰგავს მილიონიან ნამდვილ ფულის კუპიურებს. (მუქი იის ფერის).

ყალბი ფულის ნიშნები დაბეჭდილია უბრალო ქაღალდზე და არ აქვთ წყლის ნიშანი, რის გამო მათი გამოცნობა ნამდვილისაგან ადვილია, გარდა ამისა ვინიეტკა, ცხრილი და ხელისმოწერა ძალიან უხეშადაა გადმოღებული.

ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. სოც. რესპუბ. ფინანსთა სახ. კომისარი ს. იზმაილოვი.

სავალიუტო სამმართველოს უფროსი ა. საფარიანი.

537—2—1

28 ივლისს შუადღის 12 საათზე

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში ოთახი № 10

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ქალაქის პირველი საავადმყოფოს (ყოფ. არამიანცის) 1-ლ ბარაკის

ა და ბ კაპიტალური რემონტის

იჯარით გასაცემად

პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე, დილის 8—10 საათამდე ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებაში, ოთახი № 17.

(536 3—1)

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ განცხადებანი მიიღება ყველა ფაკულტეტებზე 10 აგვისტოდან და დამთავრდება 5 სექტემბერს.

განცხადებანი მიიღება შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. პედაგოგიურზე,

(განყოფილებები: სიბრძნის მეტყველების, სამათემატიკო-საბუნების მეტყველო და ქიმიო-ფარმაცევტიული),

2. სამკურნალოზე, 3. აგრონომიულზე

(განყოფილებები: სატყეო და სასოფლო-სამეურნეო),

4. სოციალურ-ეკონომიურზე

(განყოფილებები: სოციალური და ეკონომიური).

5. პოლიტეხნიკურზე

(განყოფილებები: სამთო-მადნო, საამშენებლო და მექანიკური).

სიბრძნის მეტყველების განყოფილებაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა მოიხსენიონ განცხადებაში—რომელი დარგი სურთ: ისტორიული, სიტყვიერების, ფილოსოფიური, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიური თუ ხელოვნების.

პოლიტეხნიკურ ფაკულტეტზე

ჩარიცხულ იქმნებიან მხოლოდ ისინი, ვინც უნივერსიტეტთან ჩააბარებს გამოცდას ელემენტარულ მათემატიკაში (ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია) და ფიზიკაში; სამკურნალოზე ვინც ჩააბარებს ფიზიკასა და ქართულ თხზულებაში.

განცხადებასთან უნდა წარმოდგენილ იქმნეს შემდეგი საბუთები (თვით დედანი და ორი შემოწმებული პირი თვითეულ საბუთისა): 1. საშუალო განათლების მოწმობა, 2. დაბადების მოწმობა, 3. მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, 4. ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი (თხელ ქაღალდზე გადაღებული) და 5. ორ მილიონ ნახევარი მანეთი. გამოსაცდელმა პირებმა წინასწარ უნდა წარმოადგინონ ნახევარი მილიონი მანეთი გამოცდების ჰონორარად, ჩასარიცხავი გამოცდები დაიწყება 15 სექტემბერს. პოლიტეხნიკურ და სამკურნალო ფაკულტეტების პირველ კურსზე ჩარიცხვის მსურველები უნდა გამოცხადდენ უნივერსიტეტში ჯგუფებად განაწილებულნი 10 სექტემბერს, დილის 10 საათზე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა. 955 3—2

შავი-ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ აქციონერთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება დანიშნულია მიმდინარე წლის მარიამობისთვის ოცსთვის ქალაქ ჭიათურაში, 12 საათზე, თეატრის შენობაში.

განსახილველი საკითხები:

1. საზოგადოების გამგეობის 1922 წლის მოქმედების ანგარიში.
2 სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის 1922 წლის მოქმედების შესახებ.
3. საზოგადოების გამგეობის მოხსენება მიმდინარე 1923 წლის მოქმედების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.
5. 1928 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
6. თანამდებობის პირთა არჩევნები.

986—3—1 გამგეობა.

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ-არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდით მკურნალობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—4)

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული ბათომის მილიციის სამმართველოდან თეოფილე პავლეს ძე მარგალიტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1004—1—1)

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4